

ქართული კულტურის მემორიალი



საქართველოს მემორიალი
კავშირის გაზეთი
№5 (289)

1-30 ნოემბერი
2021

ფასი 1 ლარი

გამომცემი
თეიმურაზი

მოთმინების ფიალა აივსო!

ჯანსუღ ჩარკვიანის უკანასკნელი ლექსი

2007 წელს საუკუნის მწერალთა სახლი მიშამ წაგვართვა, მას ეგონა თავისი დახლი. ხელისუფლებაც, გეტყვი გასამხელს: მწერალთა კავშირს დაუბრუნე თავის სასახლეს!

ირაკლი ღარიბაშვილს

ბატონო ირაკლი, შენ ჩემთან საუბარში და საჯარო გამოსვლებშიც არაერთგზის ვითქვამს, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ მწერლებისათვის სასახლის წართმევა იყო დიდი უსამართლობა, რომ შენობა ეკუთვნის ქართველ მწერლებს და ჩვენი ვალია, დავებრუნოთ მწერალთა კავშირს კუთვნილი სასახლე.

მაშ, ახლა რა ხდება? რატომ აყოვნებს „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ამ უეჭველი სამართლის აღსრულებას?

პატივისცემით რევაზ მიშველაძე

იმაღლისმომცემი შეხვედრა

2021 წლის 12 ოქტომბერს საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრმა, ქალბატონმა თეა წულუკიანმა „მწერლის გაზეთში“ (4, 15.X. 2021) მისი მისამართით გამოქვეყნებული წერილის გამო თავისთან იხმო მწერალთა კავშირის ხელმძღვანელები მაცვალა გონაშვილი და რევაზ მიშველაძე.

მაცვალა გონაშვილმა და რევაზ მიშველაძემ დოკუმენტურად დაუმტკიცეს მინისტრს, რომ 2007 წლის 21 აგვისტოდან საქართველოს მწერალთა სასახლე ოკუპირებულია „ნაცმოძრაობის“ მიერ.

თოთხმეტი წელია პარალიზებულია საქართველოს მწერალთა კავშირის და მწერალთა აკადემიის საქმიანობა.

„მწერალთა სახლის“ დირექტორად სააკაშვილის მიერ დანიშნული ნატაშა ლომოური აშკარა პარტიული მიკერძოებით მართავს ამ უწყებას.

როცა საკითხი დგება წიგნის ბაზრობაზე გასაგზავნი მწერალთა ჯგუფის

დაკომპლექტების, ან წიგნის დაფინანსების, ან ლიტერატურული ორგანიზაციის თანხის გამოყოფისა, ნატაშა ლომოური მტკიცე და შეუვალია: ამათ სააკაშვილი არ უყვართ და უარი ეთქვათ.

დღესდღეობით ნატაშა ლომოურის ჯიუტი ნებით განადგურებულია მწერალთა უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომელიც ძირითადად შედგებოდა სახელოვან მწერალთა მიერ მიძღვნილი ავტოგრაფებიანი წიგნებისაგან.

მწერლები მოკლებული არიან საშუალებას მათს კუთვნილ შენობაში მიუხსდნენ მაგიდას და ლიტერატურულ პრესას გაეცნონ.

განადგურებულია მწერალთა უმდიდრესი არქივი.

ქუჩაში მოისროლეს მწერალთა მემორიალური ნივთები.

დაკარგულია გალაკტიონის მხრებით მოტანილი წიგნების კარადა, კონსტანტინე გამსახურდიას სავარძელი, დავით სარაჯიშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი აკაკი წერეთლის მინაწერთურთ: „დათიკო, ეს რა განძი გქონია“. ასევე დაიკარგა ლადო ასათიანის ლექსების პირველი, საბჭოთა ცენზურის მიერ აკრძალული წიგნი, რომლის სასწაულებრივად გადარჩენილ ეგზემპლარს მწერალთა კავშირში სასოებით ვინახავდით. განადგურეს და ქუჩაში გადაყარეს „მწერლის გაზეთის“ არქივი.

ნორმალური გონება ძნელად დაიჯერებს, რომ მწერალთა სასახლის ბაღში გახსნილია ძვირადღირებული რესტორანი (?!), სასახლის მესამე სართულზე მდებარეობს 5-ნომრიანი სასტუმრო, ხოლო სასახლეში სურათის გადასაღებად, თუნდაც 10 წუთით, შესვლა 350 ლარი ღირს. ამ „უნყებებიდან“ არცერთი ლარი არ შედის სახელმწიფოს ბიუჯეტში და ადვილი წარმოსადგენია, ვის ჯიბეში ილექება.

მინისტრმა ყურადღებით მოუსმინა მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებს და აღუთქვა, რომ ყველაფერს გააკეთებს, რათა 800-წევრიან მწერალთა კავშირს დაუბრუნოს თავისი კუთვნილი სასახლე.

შეხვედრას ესწრებოდნენ და მწერალთა სასახლის მწერალთა კავშირისთვის დაბრუნების თაობაზე დადებითი აზრი გამოთქვეს მინისტრის მოადგილემ კახა სიხარულიძემ და მინისტრის მრჩეველმა სოსო ჭუმბურიძემ.

საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრს ქალბატონ თეა წულუკიანს

ქალბატონო თეა! საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი მისი არსებობის ასი წლის განმავლობაში განთავსებული იყო მარაბლის ქუჩა 13-ში მდებარე ისტორიულ შენობაში.

მწერალთა კავშირის ნავსაყუდელის წართმევა თვით კომუნისტების სისხლიანმა რეჟიმმაც კი ვერ გაბედა.

2007 წლის 21 აგვისტოს მიხეილ სააკაშვილის მიერ ჩადენილი გაუგონარი უსამართლობა, რაც მწერალთა სასახლის დარბევითა და შენობის ოკუპირებით გამოიხატა, თქვენთვის (და არა მარტო თქვენთვის) კარგადაა ცნობილი.

14 წელია ქართველ მწერლებს წართმეული გვაქვს ტრიბუნა, 14 წელია ქუჩაში ვართ და მოკლებული ვართ ერთმუშტად შეკვრის, ერთად ყოფნის ელემენტარულ საშუალებას.

მოთმინებით ველოდით, რომ კეთილი გონი გაიმარჯვებდა და ჩვენს მიუსაფრობას ბოლო მოეღებოდა.

დრო უღმობლად გარბის და ხელისუფლების ყოყმანს ბოლო არ უჩანს.

ამიტომაც მოგმართავთ თხოვნით, გაცხეთ განკარგულება, რათა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირს დაუბრუნდეს თბილისში მარაბლის ქუჩა 13-ში მდებარე მწერალთა სასახლე.

ღრმა პატივისცემით:

მაცვალა გონაშვილი რევაზ მიშველაძე სოსო სიგუა ბალათერ არაბული თეიმურაზ ჩალაბაშვილი ზაალ ბოტკოველი მანანა გორგიშვილი რეზო ადამია ლერი ალიმონაკი თემურ ამყოლაძე თეიმურაზ ლანჩავა ავთანდილ ნიკოლეიშვილი ცირა შალაშვილი ომარ გვეტაძე ლევან გოგიბერაშვილი ირმა ქურასხედიაანი ბექა ქებულაძე ნათია ჯიმშელიშვილი მიმოზა ცანავა დავით თედორაძე ეთერ აფაქიძე დავით ახლოური ვახტანგ ხარჩილავა გურამ ბათიაშვილი ნომადი ბართაია ნონა გიორგაძე


გურამ გოგიაშვილი აკაკი დაუშვილი მამუკა დოლიძე ქეთევან დოლიძე ზაალ ებანოძე ეთერ ზარიძე რომან ზუკაკიშვილი მურმან თავდიშვილი მთვარისა კერესელიძე დემიკო ლოლაძე ია სულაბერიძე დავით ტიგინაშვილი (ივრისპირელი) ედუარდ უგულავა ქაბუკი ქოიავა ბადრი ქუთათელაძე თამარ შაიშველაშვილი გივი შახნაზარი ემზარ კვიციანიშვილი გრიგოლ შონია მანანა ჩიტოშვილი მარინე ცხვედიაშვილი მირონ ხერგიანი ნაირა მარშანია ზოია ვაშაკიძე ნიკა ქვრივიშვილი ოთო ფალიანი მორის როსტიაშვილი ქეთევან ნათელაძე ალახვერდ თაქლალი რობერტ აჯიაშვილი ჯემალ კუხალაშვილი სანდრო ბერიძე როინ აბუსერიძე იაშა თანდილავა თინა შიოშვილი ჯემალ სურმანიძე

ქალბატონ თეა წულუკიანს

საკაშვილის მიერ წართმეული მწერალთა სასახლის მწერალთა კავშირისთვის დაბრუნების შემდეგ სასახლეში უნდა განთავსდეს:

1. მწერალთა კავშირის არქივი (სარდაფი);
2. მწერალთა ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი (I სართული);
3. საორგანიზაციო მუშაობის კაბინეტი კომპიუტერული ცენტრითურთ (I სართული);
4. რუსთაველის მემორიალური კაბინეტი (II სართული);
5. „მწერლის გაზეთის“ რედაქცია (II სართული);
6. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სამუშაო ცენტრი (III სართული);
7. მწერალთა აკადემიის კაბინეტი (II სართული);
8. ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობის კომისია (III სართული);
9. გამოჩენილ მწერალთა უკვდავო ფილმებისა და ფოტომასალების შეგროვების ცენტრი (III სართული).

მაცვალა გონაშვილი რევაზ მიშველაძე



სამართლიანობის მოლოდინით

საქართველოს მწერალთა კავშირი 2007 წლის 21 აგვისტოს, ღამის 4 საათზე, „როცა წყალსაც კი ეძინა“, სააკაშვილის ნიღბიან-მა ზონდერ-ბრიგადამ კუთვნილი სასახლიდან (მაჩაბლის 13) გამოაძევა. ვისხენებ იმ საზარელ ღამეს, ვათვალისწინებ იმ წლების ლიტერატურულ პერიოდიკას. ვცდილობ აღვადგინო ყველა ის ფაქტი თუ მოვლენა, რომელიც მწერალთა კავშირის თავზე ვარდებით მოსული ხელისუფლების წყალობით დატრიალდა. კიდევ ერთხელ მეცხება სული ტკივილით და უსამართლობის განცდით და ეს ტკივილი იქამდე დამრჩება, სანამ სამართლიანობა არ იზივინებს და დევნილ მწერალთა კავშირს ღირსეულად არ დაუბრუნდება კუთვნილი შენობა, იმ მწერალთა კავშირს, რომელიც საუკუნეზე მეტია ასრულებს ექვთიმე თაყაიშვილის 1916 წლის შეგონებას: „საჭიროა შეიქმნას მწერალთა კავშირი, რათა წინა წარუძღვეს ერსაო“. მახსენდება ჭაბუა ამირეჯიბის 2007 წელს მთავრობისადმი მიმართვა: „ზნელეთის მოციქულებო, ქართულ ლიტერატურას ვერც თქვენმა წინაპარმა კომუნისტებმა მოჭამეს ფეხები და ვერც თქვენ მოერევიტ ქართველი ერის სულიერებას. ჭკუით, ქართველებო“!

სასოებით ვინახავ მის წერილს: „მაყვალას ვენაცვალე! მოგესხენება, ცხოვრება ბრძოლა და ქვეყანაზე ცუდი კაცები სჭარბობენ, ეგენი არ უნდა გაახარო. ათონის მონასტრის ფილაქანზე ამოტვიფრულია „იდექ მკვიდრად და ურყევლად“.

ხელისუფლებათა უსამართლობაზე არაერთმა მწერალმა აღიმაღლა ხმა. მინდა ლადო მრელაშვილის სიტყვებიც გავიხსენო: „მე დამინჯია თქვენი სამართალი! - ისეთი სამართალი, რომელიც ნადირთა სამართალს უტოლდება! თუ ნაღდი, ეროვნული მწერალი გქვია, ამგვარ ბოროტებას სიკვდილის შიშითაც არ უნდა გაუყურდე!“ (გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“).

სწორედ სააკაშვილის უკუღმართ პოლიტიკაზე წერდა გურამ დოჩანაშვილი: „დღეს საქართველოში ადამიანები პოლიტიკურ ცხოველებად იქცნენ. რამდენად კარგი პოლიტიკოსები გვყავს ძნელი სათქმელია, პოლიტიკური სარბიელი რომ ცხოველთა შერკინებას დაემსგავსა ეს ცხადია. ახლა სწორედ ცხოველური ინსტიტუტებით დაგლიჯეს საქართველო. ეროვნულობის აღმოფხვრას კულტურის ღრმა ფესვების განადგურებით იწყებენ: როგორ შეიძლება მწერალთა ტაძარი გაყიდო, გააჩუქო, ეს არის თითოეული მოქალაქის, შემოქმედის საკუთრება. ჩვენი დიდი მამების დანატოვარი.“ გურამ დოჩანაშვილი, (გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“).

მინდა გავიხსენო რეზო ჭეიშვილის სიტყვებიც: „დღეს რაც ხდება, აღმასფრვითებელია, მე ვენიანაღმდეგები ხელისუფლების აღებულ კურსს, საქართველოს მწერალთა

სასახლე მათ იპოდრომი ხომ არ ჰგონიათ? თუ ეს ხელისუფლება გონს არ მოვა, სწორედ ამ შენობაში გაეთხრებათ სამარე“. რეზო ჭეიშვილი (ასავალ-დასავალი.)

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თითოეული მწერლისთვის უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიმართვა:

„მის აღმატებულებას საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ბატონო პრეზიდენტო, მოგესხენებათ ქართული მწერლობის დამსახურება საუკუნეთა განმავლობაში ქართული სულიერების, ადამიანთა შორის მართლმადიდებლური რწმენის განმტკიცე-



ბისა და ეროვნული ფენომენის დაცვის საპატიო საქმეში.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მწერალთა ისტორიული სასახლის ხელყოფა თქვენგან დამოუკიდებლად და თქვენი ნების გარეშე იქნა ჩადენილი იმ „ქე შეცდომილთა“ მიერ, ვისაც სურდა ეროვნულ ხელისუფლებას და პირისპირებოდა ეროვნული მწერლობა.

ვშუამდგომლობ თქვენ წინაშე, რათა მწერალთა სასახლე (მაჩაბლის 13) დაუბრუნდეს საქართველოს მწერალთა კავშირს, რომ მწერლებს მიეცეთ საშუალება ამ სასახლის ისტორიული ტრიბუნა გამოიყენონ ქვეყნისა და ერის სამსახურისთვის.

ულრმესი პატივისცემით. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II 29 თებერვალი, 2008 წ. (მწერლის გაზეთი, 3)

საყურადღებოა 2007 წელს რევაზ მიშველაძის წერილიც: „დემოკრატიის მამა მწერალთა კავშირის დარბევის ბრძანებას როგორ გავცემდითო...“

თვის მართლება მაინც სცადე, რამე მაინც თქვი, შე კაი კაცო.

რაო, ბუზებადაც აღარ ვჩანვართ შენს თვალში, მიშიკო?

(მწერლის გაზეთი, 7(150), 25 სექტემბერი - 10 ოქტომბერი, 2007 წ.)

თუ როგორი გამოხმაურება ჰქონდა ხელისუფლების ვანდალურ ქმედებას 2007 წელს, კიდევ ერთხელ გთავაზობთ უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნიდან გამოგზავნილ წერილებს:

გამოხმაურება მწერალთა კავშირის დარბევაზე

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილს, საქართველოს მთავრობას

ჩვენ, მწერალთა საერთაშორისო ფორუმის, „სიტყვა საზღვრებს გარეშე“ წევრები ევროპისა და აზიის 15 ქვეყნის ლიტერატურას წარმოვადგენთ. გვსურს, ჩვენი შემფოთება გამოვთქვათ საქართველოს მწერალთა კავშირისადმი შექმნილი სიტუაციის გამო.

შეუსაბამოდ მიგვაჩნია, როდესაც საქართველოს ხელისუფლება, რომელიც მთელ მსოფლიოში აკეთებს თავისი დემოკრატიული ფასეულობების დეკლარირებას, უხეშად არღვევს იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციის უფლებებს, რომელიც ეროვნული ლიტერა-

ვიმდოვნებთ, რომ ყველა თქვენი პრობლემა მალე იპოვის სასურველ გადაწყვეტას და ამ იმედით გისურვებთ ყოველივე კარგს.

იანუშ კრასინსკი პრეზიდენტი

სომხეთის მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას სიტყვები ვერ გვიპოვია ამ წარმოუდგენელი ვანდალიზმის შესაფასებლად. თქვენს გვერდით გვიგულეთ. ქართველო მწერლებო.

სომხეთის მწერალთა კავშირი თბილისი

ქართველ მწერლებს

რა ხდება? ნუთუ ეს ნაბიჯი მწერალთა კავშირის წინააღმდეგ დემოკრატიულ საქართველოში გადაიდგა?

აზერბაიჯანის მწერალთა კავშირი

თბილისი, მაჩაბლის 13 მწერალთა კავშირის

არ გვინდა დავიჯეროთ, რომ საქართველოში მთავრობამ მწერალთა კავშირი დაარბია, ალბათ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე.

ლიტვის მწერალთა კავშირი

თბილისი საქართველოს მწერალთა კავშირი

ძმებო, ჩვენთანაც, უკრაინაში სადავო გახდა მწერალთა კავშირის შენობის კუთვნილება, მაგრამ პრეზიდენტმა უყოყმანოდ ჩვენ მოგვაკუთვნა, გვჯერა, სააკაშვილი არ დაუშვებს მწერალთა ქერის გარეშე დატოვებას.

უკრაინის მწერალთა კავშირი

თბილისი მწერალთა კავშირი

ისტორიას არ ახსოვს ქვეყანაში მოქმედ ყველა მწერალს ხელისუფლება ასე უმონალოდ გასწორებოდეს. რა გითხრათ, რით გაუგებრობით? *ლატვიელი მწერლები*

საქართველოს მწერალთა კავშირის

ჩვენამდე მოაღწია ხმამ ქართველ მწერალთათვის კუთვნილი შენობის ძალის გამოყენებით წართმევის შესახებ. აღშფოთებული ვართ.

ბულგარეთის მწერალთა ასოციაცია

როგორი გულსატკეპია, რომ ასობით მწერლის მიმართვა ხელისუფლებისადმი, უცხოეთის ლიტერატურული კავშირებისა და ასოციაციების, ყველა გულმხურვალე ქართველის მიმართვა ხელისუფლებისადმი, დაბრუნებოდა მწერალთა კავშირს კუთვნილი შენობა, დარჩა ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა და დღესაც მწერალთა კავშირი, აფხაზეთიდან და ოსეთიდან დევნილებთან ერთად, ავარიულ, უსახურ შენობაშია შეკედლებული. ნადგურდება უნიკალური არქივი.

მაყვალა გონაშვილი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე



რევაზ მიშველაძე

(დასაწყისი „მწერლის გაზეთი“ №3,4)

4/VI 89

კვირაა, ვწერ ნოველას. მოქმედება კუნძულ ოლაჭვათირზე ხდება (მთავლითის თვალის ასახვევი ძველი მეთოდი).

გერმანიიდან მივიღე უფროსი, რომელშიც ჩემი ნოველაა დაბეჭდილი.

დამირეკა კოტე მახარაძემ და მაცნობა, რომ პრემიერა სექტემბრისთვის გადაიტანა.

ველოდი. ჩანს შეეშინდა, ან შეაშინეს.

მთელი საქართველო კარიაკინის და არძინბას გამოსვლაზე ლაპარაკობს.

კარიაკინი გამოვიდა ყრილობაზე ბრწყინვალედ.

მუზეუმიდან ლენინის გამოსვენება, 9 აპრილის ტრაგედიის დამნაშავეთა დასჯა, ავღანეთის ანექსიის პოლიტიკური შეფასება, სოლჟენიცინის სამოქალაქო უფლებებში აღდგენა მოითხოვა.

არძინბა („აფხაზეთის“ წარმომადგენელი) გამოვიდა, როგორც მოსალოდნელი იყო, პროვოკაციულად. ქართველების მიერ „აფხაზთა“ ჩაგვრაზე ილაპარაკა. ღმერთო! ნუთუ არავინ გაარკვევს სამართალს?

თავის ისტორიულ მიწაზე აფხაზეთში მცხოვრებ 52% ქართველს კისერზე აზის (ყველა ხელმძღვანელი თანამდებობა უკავია) 15% ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოაბრაგებული „აფხანი“ (რომელიც თავის თავს ქურდულად აფხაზს ეძახის) და კიდევ აქეთ გვდებენ ბრალს?

5/VI 89

ორ იტალიელ მწერალს შევხვდი საღამოს „ივერიაში“.

„ახალი ამბების სააგენტოს“ კორესპონდენტმა მ. მამაცაშვილმა დამირეკა, სპეციალურად არიან ჩამოსული, ცხრა აპრილთან დაკავშირებით წიგნს წერენ და შენთან შეხვედრა უნდათ.

დიდხანს ვისაუბრეთ. შეკითხვები დამაყარეს. ინერდენტ მანგიტოფონზეც და უბის წიგნაკებშიც.

როცა შეიტყვეს, რომ საქართველოს მღელვარების ერთ-ერთი მიზეზი გაქრობის საკითხი, დემოგრაფიული სინდრომი იყო, ორივემ ერთხმად მითხრა: თქვენ წარმოიდგინეთ, იტალიასაც იგივე ემუქრებაო.

იტალიაში შავ მუშებად და მომსახურების სფეროს თანამშრომლებად, ძირითადად არაბები ჩამოდიან აფრიკიდან. ისინი უსაშველოდ მრავლდებიან, ჩვენ კი თითქმის არ ვმრავლდებითო.

ასე რომ საქართველოს სატყვევარი მთელი ცივილიზებული სამყაროს სატყვევარია.

დამავინყდა! დღეს გურამ შარაძის მიერ „მერანში“ მონყობილი გამოფენა დავათვალიერე — „ქართველი უცხოელები“.

ღმერთო, რა დიდი საქართველო ყოფილა იქეთ.

აი, „სამშობლოს მოღალატენი“; ქაქუ-

ცა ჩოლოყაშვილი, ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, შალვა ამირეჯიბი, გიორგი გამყრელიძე, პაპავა, მიხაკო წერეთელი, ვიქტორ ნოზაძე...

6/VI 89

დილით ლევან სანიკიძე, თამაზ ნიწვივაძე, გივი ძნელაძე და მე დმანისს გავემგზავრეთ.

მოვიარეთ ლამის მთელი რაიონი. სამსოფელოში შევხვდით მოსახლეობას.

ამ ოთხი წლის წინათ დმანისში ქართველი მთელი რაიონის მოსახლეობის 12%-ს შეადგენდა. ახლა 36%-მდე ასულა.

ეს დიდი გამარჯვებაა.

დმანისში დასახლდნენ სვანები,ახლა მალე აჭარლები ჩამოვლენ, დაახლოებით ორი ათასამდე კაცი.

საქართველოსთვის ლამის დაკარგული კუთხე ისევ ქართულად მოექცა.

უძველეს დმანის-ქალაქში ქართული

სიტყვა გაისმის.

ჩვენს სიხარულს საზღვარი არა აქვს.

ამ პატრიოტულ ლაშქრობაში ლომის წილი უდევს ყოფილ მდივანს — ბერიძეს და ახლანდელ რაიკომის მდივანს, ომარ ელოშვილს.

იმედთან განწყობილებაზე დავბრუნდით შინ.

„ღმერთო, ღმერთო ეს ხმა ტკბილი“ სხვა რაიონებშიც გამაგონე!

7/VI 89

ბულგარეთიდან მივიღე მშენივრად გამოცემული ჩემი წიგნი. მასში 25 ნოველაა შეტანილი. „ვარნის გამომცემლობა“ „გეორგი ბაკალოვს“ გამოუცია. მთარგმნელები არიან ანტონი დიმიტროვი და კუზმან სავოვი.

მარნეულში ვართ გურამ ფანჯიკიძე, ლევან სანიკიძე, ტაგუ მეზურიშვილი, გრიგოლ ჯულუხიძე და მე. მიწები და ვურეგეთ ქართულ სოფელ წერეთელში მცხოვრებთ.

ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი უბედნიერესი დღე.

უნდა გენახათ, ქართველთა გახარებული სახეები.

მათ ხომ ოცდაათი წელია არც ერთი გოჯი მინა არ მიუღიათ თავიანთ საქართველოში.

ვერაფრით ვერ გამოვიარეთ იყო გამოწვეული ქართველთა ეს ტოტალური დისკრიმინაცია თვითმათსავე სამშობლოში.

ქართველებს ერეკებოდნენ თავიანთი მიწებიდან და ამას ყოველთვის მშვიდად უცქეროდა საქართველოს მთავრობა.

8/VI 89

ლევან სანიკიძე და მე მცხეთაში ჩავყავით. პროფტექნიკური სასწავლებლის მასწავლებლებს და მონაფეებს შევხვდით.

ყველგან პირველყოფისა ერთსა და იმავეს გვეკითხებიან: რატომაა ასე პასიური საქართველოს დეპუტაცია მოსკოვში საბჭოების ყრილობაზეო.

რა უნდა ვუპასუხოთ? მაშინ როდესაც ბალტიისპირეთის ქვეყნების დეპუტატები ბრძოლის სასწაულებს ახდენენ, ჩვენები სდუმან ან უღიმიან „განცხადებებით“ იქცევენ ყურადღებას.

9/VI 89

შეხვედრა მქონდა მუშთაიდიხ ბალში.

შესასვლელში ცარიელ კვარცხლბეკს მოვკარი თვალი, ორჯონიკიძის ძეგლი აუღიათ, გამეხარდა.

რამდენი უკანონობა და საქართველოს ლალატია დაკავშირებული „რკინის სერგოს“ სახელთან.

მარტო 25 თებერვალს, XI არმიის შემოძლოლას ვინ აპატიებს.

შეხვედრაზე ორსაათიანი სიტყვა ვთქვი. შეკითხვები სიტყვასავით დამაყარეს.

საბჭოების ყრილობა დამთავრდა. ბოლოს სახაროვი გამოვიდა და განაცხადა, ეს ყრილობა კი არა მასხარაობა იყო, ვერაფერს ვერ მივადნიეთო.

გორბაჩოვს ძალიან ეწყინა „ყრილობის“ გაბაიბურება.

10/VI 89

დიპლომების დაცვა გვექონდა. უნიჭიერესი ახალგაზრდობა გვყავს.

დაცვა რომ დამთავრდა, სიტყვით მივმართე კურსდამთავრებულებს.

ეპიზოდი

როგორ ირწეოდა სომალდი

თქვენ ახალი საქართველოს, თავისუფალი საქართველოს მოქალაქენი უნდა აღზარდოთ-მეთქი.

მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებზე უფრო საპატიო პროფესია არ მეგულეობა-მეთქი.

აბა თქვენ იცით, არ შეარცხვინოთ სამშობლო-ქვეყანა, დედა-უნივერსიტეტი. იცოდეთ, ვისი გორისა ხართ-მეთქი.

მივულოცე ყველას უნივერსიტეტის დამთავრება და ხელი ჩამოვართვი.

11/VI 89

კვირაა. ვწერ ნოველას იმაზე, თუ როგორ ჩატარდა საბჭოების ყრილობა.

რა ყალბი დემოკრატობანა გაითამაშეს. ალეგორიული, სატირული ნოველა იქნება.

ტელევიზიამ გადმოსცა, რომ 500 აჭარელი ახალქალაქში ჩასახლდებოდა, 2000 კი დმანისში.

მთაა! ფეხს იდგამს ჩვენს მიერ დანყებულ მოძრაობა; პირველ რიგში საქართველოს გადარჩენის შესახებ.

12/VI 89

ბრუნდებიან ჩვენი დამორცხვებული დეპუტატები მოსკოვიდან.

ინტერვიუებს იძლევიან, ჩიხში მოგვამწყვდიეს, სიტყვა არ მოგვცეს, ტრიბუნაზე არ მიგვიშვეს რუსებმაო.

რა ვიცი, ყოველ შემთხვევაში მეტის გაკეთება შეეძლოთ.

დავწერე „ღია წერილი ვალენტინ რასპუტინს“.

მის მიერ სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე ნათქვამ სიტყვაში სამ ადგილას ვართ გალანძღული ქართველები.

ვპასუხოთ თავშეკავებით; შე კაი კაცო, მშვენიერი ხელობა გაქვს, მწერალი ხარ, ქართველთა ლანძღვის პროფესია რალაზე მიიმატე-მეთქი.

გინერ ამ პასუხს, მაგრამ ენაზე როდი მადგას ის „ვალშებნოე რუსკოე სლოვო“ შენს თავზე გენერალს რომ მოადგამ-მეთქი.

„კომუნისტში“ მივიტან ხვალ, დაბეჭდავენ?

13/VI 89

„კრიტიკაში“ სამტრედიის სახალხო

ფრონტის წარმომადგენელი მოვიდა. ჩემს კაბინეტში გრიპა ჯულუხიძემ შემოიყვანა.

სამტრედიის სახალხო თეატრმა ამ დღეებში თქვენი პიესა „სპექტაკლი ფეხით მოსიარულეთათვის“ დადგაო.

რატომ არ შემატყობინეთ-მეთქი. ნიკა ჩერქეზიშვილს მივუტანე „პასუხად რასპუტინს“.

ცოტა შეუყოყმანდა, მაგრამ მე მგონი დაბეჭდავს.

14/VI 89

„სახალხო განათლებაში“ ნოდარ ნათაძის წერილია 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიაზე.

ერის მოღალატეთა შორის, სხვებთან ერთად დასახლებულია მაშინდელი ცკ-ს მდივანი დავით მჭედლიშვილი.

ნოდარ ნათაძე გულმხურვალე პატრიოტი, მაგრამ მე არა ვარ მომხრე ადამიანთა ასე განიერის.

კაცზე ლირიკით და ზეპირსიტყვიერებით როგორ შეიძლება ბრალდების შეთხზვა. მოსკოვმა გადაწყვიტა დემონსტრაციის დახვრეტა, რა შუაშია დ. მჭედლიშვილი. რა შეეძლო ელონა ცკ-ს მდივანს იდეოლოგიის დარგში?

ღმერთმა შეუნდოს ცოდვილთ, მაგრამ წარსულის ხელალებითა უარყოფამ საკუთარი მამების გმობამდე არ მიგვიყვანოს.

ყველა კაცი კონკრეტული ისტორიული ეპოქის შვილია და იმ ეპოქის დალი აზის, მტად ან ნაკლებად.

15/VI 89

დღეს დაიბეჭდა „კომუნისტში“ ჩემი „ფიქრები ყრილობის შემდეგ (ვალენტინ რასპუტინის გამოსვლის გამო)“.

ბევრმა დამირეკა და მომილოცა. მწერალთა კავშირში სამ საათზე მიტინგი გავმართეთ.

გამოვედით გურამ ფანჯიკიძე, მე, ლევან სანიკიძე, კობა იმედაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, მიხეილ ქურდიანი, ჯუმბერ თითმერია, ოთარ ჭელიძე და სხვები.

დავადგინეთ: ეთხოვოს ხელისუფლებას მონვეულ იქნას რიგგარეშე სესია საქართველოს უმაღლესი საბჭოსი. განხილულ იქნას საქართველოს ანექსიის, მოქალაქეობრივი სტატუსის, სამხედრო სამსახურის საქართველოში გავლის და სხვა ეროვნული საკითხები.

საკმაოდ მწვავე რეზოლუცია მივიღეთ. ვნახოთ რა მოჰყვება. სწორად აქტიურობს ფანჯიკიძე.

ახლა მოქმედების დროა და არა კლასიკოსური განზე დგომის.

16/VI 89

დღეს მწერალთა კავშირში სახალხო ფრონტის დამფუძნებელი ყრილობა გვექონდა.

ავირჩიეთ საქართველოს სახალხო ფრონტის ყრილობის დელეგატები. ძალიან ხომ არ დაეჭვმაცდით? მთავარია საქმე ვაკეთოთ. ამდენი ფრონტი და ამდენი პარტია რა საჭიროა.

გუმინ მიტინგი შუაზე გახლიჩა წერეთლისა და გამსახურდია-კოსტავას პარტიების უთანხმოებამ.

არ შეიძლება ასე. ყველა კრებაზე ვამბობ და დღესაც გავიმეორებ: საქართველოს ახლა ორი საქმე აქვს: დამოუკიდებლობის მოპოვება და დემოგრაფიული მოწესრიგება. ამ მიზნის განხორციელებისთვის ყველა პარტია უნდა გაერთიანდეს.

დღეს „კომუნისტში“ გ. ფანჯიკიძის ინტერვიუა — აცხადებს, დაღესტანში უნდა გაეფრინდეთ იქაურ მთავრობასთან მოსალაპარაკებლად, რათა ლეკები თავის ქვეყანაში გავასახლოთო.

რაც მთავარია! დღეს „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა ჩვენი კრების რეზიუმე. მოთხოვნა საქართველოს მთავრობის მიმართ.

უბრწყინვალესი დოკუმენტია. მთელი დღე მიხაროდა, რომ ქართველი მწერალი ვარ.

დღეს ჟიურში მომანიჭა მწერალთა კავშირის პრემია 1988 წელს „მნათობში“, „ცისკარსა“ და „განთიადში“ გამოკვეყნებული ნოველებისათვის.

11 ნევირიდან 11-ივემ ხმა მომცა. ჟიურის ნევრები იყვნენ (გ. ფანჯიკიძე, თ. ბუაჩიძე, რ. ჯაფარიძე, გ. ალხაზიშვილი, რ. მიმინოშვილი, გ. გაჩეჩილაძე, თ. დოიაშვილი, კ. იმედაშვილი, ი. ქემერტელი და სხვ.).

17/VI 89 შაბათია.

დავამთავრე ნოველა „მესაყვირე“. ვცადე დამეხატა დელეგატთა ყრილობაზე გათამაშებული გორბაჩოვის დემოკრატია.

მე მგონი არა უშავს. ახლა მთავარია, დავბეჭდო, გავაპარო სადმე.

ბეჭდვის პრობლემა ისევ ისე დგას ჩემთვის.

რა ბედნიერი ვიქნებოდი ჩეხოვის და ილია ჭავჭავაძის დროინდელ ცენზურასთან რომ მქონდეს საქმე.

ისინი ხომ რასაც წერდნენ, თითქმის ყველაფრის დაბეჭდვას ახერხებდნენ.

18/VI 89

მარჯანიშვილის თეატრში პრემიერას დავესწარი.

გრიგოლ რობაქიძის „გრაალის მცველნი“ წარმოადგინეს.

ოთარ მეღვინეთუხუცესი და გია ბურჯანაძე მთავარ როლებში. ორივენი მაღალი კლასის მსახიობები არიან, მაგრამ მაინც ვერაფერს უხერხებენ რობაქიძის დაღვარული ქართულს.

პირველმა მოქმედებამ აღმაშფოთა, თითქმის ვერაფერი გავიგე. მაღალფარდოვანი, ყალბრომანტიკული, პათეტიკური ლაპარაკი.

მეორე მოქმედება მომეწონა. რეჟისორს ცხრა აპრილისთვის დაუკავშირებია. ფინალში შემოდის სერგო ორჯონიკიძე და ტყავის პალტოზე მოცხებულ სისხლს გულმოდგინედ იწმენდს.

ესადაგება იმას, რაც ახლა სჭირს ორჯონიკიძის ძეგლს.

საერთოდ, არც თუ ურიგო, გულის მომფხანის სპექტაკლია.

თემურ ჩხეიძემ მითხრა, შენს პიესას („ნაპარალი“) სექტემბრის ბოლოს წარმოვაგებოთ.

ვნახოთ, კ. მახარაძესავით თუ არ დაფრთხა და პირი არ მიშალა.

19/VI 89

დღეს ჩემთან მოვიდა სამი ახალგაზრდა ახალდაქორნიებული — დათო გავაშვილი, კობა კობაური და დიმიტრი არეშიძე.

ახალქალაქის რაიონში გვიანდა საცხოვრებლად წასვლა და ვერ აღმოვაჩინეთ ინსტანცია, რომელიც ჩვენს საკითხს გადაწყვეტსო.

სადაც კი მივდივით „მე არ მეტებას“ კედელი გვხვდება.

დავიწყე რეკვა მთავრობის ტელეფონით. მეც ასევე მპასუხოვნ მინისტრების და მათი მოადგილეების დონეზე.

ავდექი და დავუბრუნე გივი გუმბარიძეს. ასე და ასე საქმე, ახალგაზრდებს ბიუროკრატულ-ჩინოვნიკური აპარატი ვერ გადაულახავთ-მეთქი.

ხვალვე მოვიდნენ ჩემთან და ყველაფერს გავაკეთებო.

წარმოგიდგენიათ? პირველ მდივანამდე უნდა მიხვიდე კაცი, რომ ახალგაზრდებს ამ უაღრესად ეროვნულ საქმეში ხელი გაუმართო?

ასეთ საზოგადოებაში ვცხოვრობთ. სახალხო ფრონტის დამფუძნებელი ყრილობის დეპუტატად ავურჩევით. დღეს დეპუტატის სხდომა გვქონდა. ვილაპარაკეთ იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს სახალხო ფრონტმა. ჩემი და ნოდარ წულეისკირის აზრი ერთმანეთს ძალიან დაემთხვა.

20/VI 89

დილით სამსახურში დამხვდნენ ჩემი ახალგაზრდა პატრიოტები.

სამივე მოქუფრული.

გუმბარიძემ ჩვენთვის „ვერ მოიცალა“ და მისმა თანაშემწემ გურგენიძემ მიგვილოო.

ახლა იქედან მოვიღვართ. კვლავ გაურკვეველი პასუხი მივიღეთო.

ხვალ სახალხო ფრონტის ყრილობაა. თუ „დავიჭირე“ გუმბარიძე, უნდა ვუსაყვედურო.

თანდათანობით განმიმტკიცა აზრი, რომ კომუნისტების ხელში ჩვენი საშველი არ იქნება.

21/VI 89

სახალხო ფრონტის დამფუძნებელი ყრილობის დელეგატი ვარ.

დიდი პატივია.

იმედით სავსე მივიღვარ ყრილობაზე.

ფილარმონიის დიდ დარბაზში ყრილობა გახსნა ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილით. დიდი ივანეს შვილმა.

პირველ სხდომას თავმჯდომარეობს ავთანდილ იმნაძე.

წესდების დამტკიცებაზე დიდი კამათი გაიმართა.

მგზნებარე სიტყვა თქვა ზვიად გამსახურდიამ.

სახალხო ფრონტმა კომუნისტურ პარტიას ნელ-ნელა უნდა ჩამოართვას ფუნქციები.

კომუნისტური პარტია უკვე კარგა ხანია სახელგატეხილი პარტიაა და ქვეყნის მართვის მორალური უფლება არა აქვსო.

სახალხო ფრონტი მხოლოდ ქართველი ხალხის ინტერესებს უნდა ემსახურებოდესო.

საინტერესო სიტყვები თქვეს: ნოდარ ნათაძემ, ირაკლი შენგელაიამ, რეზო ჩხეიძემ და სხვებმა.

ძალიან კარგად, ვაჟკაცურად გამოვიდა ზვიად გამსახურდია.

დიდი, დემოკრატიული კამათი გაიმართა. 22/VI 89

დილით, 9.30-ზე ტელევიზიამ მთხოვა, როგორც დელეგატს აზრი გამომეთქვა ყრილობის შესახებ.

ვილაპარაკე; ძალიან მომწონს ამ ყრილობის დემოკრატიული ხასიათი-მეთქი.

პირველ ყრილობას ვესწრები, რომელიც არ ვიცი, როგორ დამთარგმნება-მეთქი. ამ ყრილობამ სწორედ რომ ერთიანი ფრონტი უნდა შექმნას-მეთქი.

კეთანხმები ზვიად გამსახურდიას გუშინდელ გამოსვლას-მეთქი.

დღეს უფრო საინტერესო იყო ყრილობა. კვლავ გამოვიდნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა.

გამოვიდნენ ქართველები ოსეთიდან(?) და აფხაზეთიდან(?).

ილაპარაკეს იმ უკანონობაზე, რაც ამ თავსმობვეულ ავტონომიურ ერთეულებში ხდება.

ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ ჩაგრავენ სტუმრები — ოსები და აფსუები ადგილობრივ, მკვიდრ, მიწის კანონიერ პატრონს — ქართველ მოსახლეობას.

რა სამართალ დავკვივირებ საბჭოთა წყობილებაზე?

ყველა ნამოგვასვა კისერზე, ყველა ჩვენზე გააბატონა.

ჩვენ გაგვაჩუმა და გადამთიელი უფლებებით აღჭურვა.

ცხინვალელმა ქართველმა წინადადება შემოიტანა გაუქმდეს „ოსეთის ავტონომიური ოლქი“ და ენოდოს „ცხინვალის ოლქი“.

დარბაზი ამ წინადადებას ტაშით შეეგება. დევური ნაბიჯით მიიწევს წინ საქართველო დემოკრატისა და დამოუკიდებლობის გზაზე.

23/VI 89

თამარისში სოფლის ყრილობაზე მიგვინვიეს გურამ ფანჯიკიძე, ლევან სანიკიძე და მე.

გ. ფანჯიკიძე ვერ წამოვიდა.

ყრილობა საკმაოდ მღელვარედ ჩატარდა. „მოტყუებული“ სვანები აქტიურობდნენ.

ისე, კაცმა რომ თქვას, მართალია ეს ხალხი. აყარეს სვანეთიდან, ჩამოსახლეს მარნეულში. სახლებს აგიშენებთო და-

პირდნენ. აგერ, მესამე წელი მთავრდება, ფუნდამენტი ჩაყარეს და მიატოვეს ხალხი ცის ანაბარა.

ჩვენაო, სვანებმა, თუ ასე გაგრძელდა, ისევ სვანეთში დავბრუნდებით.

კვლავ განუკითხაობა, კვლავ მოტყუება... არავინ არავის წინამე პასუხს არ აგებს.

ყველა ცდილობს მოჩვენებითი ფაციფუცით საქმიანი კაცის ილუზია შექმნას და ხალხს თვალში ნაცარი შეაყაროს.

რა ეშველება ქვეყანას?

სანამ მარნეულში წავიდოდით, გ. ფანჯიკიძის კაბინეტში ვისხედით, მოხუცი, შაოსანი ქალი შემოვიდა; ათი შვილის დედა ვარო, ხუთი ვაჟი დაეკორწინა და წყალტუბოს რაიკომის მდივანი სამოსახლოს არ მადლეს, რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდეთ.

ესეც შენი „გარდაქმნა“. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ საქართველო დაკეტილია ქართველებისთვის.

ღამით უკან რომ ვბრუნდებოდით, ავტოინსპექციამ გაგვაჩერა, მარნეულში ვერ გავიღით, შემოუარეთ, გზის შეკეთება მიდისო.

დავბრუნდით და მარნეულს გვერდი ავუქციეთ.

თურმე მოგვატყუეს.

თურმე მარნეულში იმ დროს ხელჩართული ბრძოლა მიდიოდა სვანებსა და თათრებს შორის.

რომ ჩამოვყვი, ღამის პირველ საათზე დამირეკა წერეთლის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ, ასეთი რამ მოხდაო.

ახლავე წამოვალ-მეთქი.

აღარ არის საჭირო. ახლა მოედანი „განმედილია“.

რამდენიმე მძიმედ ნაცემი საავადმყოფოში წაიყვანეს. მილიციის ჯარებმა ხალხი, როგორც იქნა დააშოშინესო.

მთელი ღამე არ მიძინია.

24/VI 89

დილით, ალიონზე, დავრეკე შინაგან საქმეთა სამინისტროში, მორიგემ დამამშვიდა: ყველაფერი უსისხლოდ დამთავრდა.

თათრებო ახლაც იკრიბებიან, მიტინგს აპირებენო.

რა „პრობლემაზე“ მიტინგობენ მოძვე აზერბაიჯანელები?

რას მემართლები, შე კაი კაცო. რა დავიშავე?

დღეს უსისხლოდ დამთავრდა, მადლობა ღმერთს, შეტაკება. ხვალ? ხვალაც უსისხლოდ დამთავრდება?

რატომ ცდი ასე ბეჯითად ჩემს მოთმინებას?

დავიწყე მიშა ქვლივიძისადმი მიძღვნილი ნოველა:

კინოოპერატორი საბა სუთიძე რუსეთის მივარდნილ რაიონებში 9 აპრილზე გადაღებულ ფილმს აჩვენებს, მაგრამ ვერაფერს ააღელვა. სასტუმროდანაც დაითხოვეს, როცა გაუგეს, რომ ამგვარი „ვერ-აგი“ მისიითაა ჩამოსული.

ეჩვენება, რომ სიამოვნებით გამოხდინებ მისგან და მის მიერ ჩამოტანილი ფილმისგან არაყს.

25/VI 89

კვირაა.

წერ.

მნიშვნელოვანი თითქმის არაფერი მომხდარა, გარდა იმისა რომ სახალხო ფრონტის ყრილობა დამთავრდა.

ბოლო სხდომაზე ყრილობას აცნობეს მარნეულის ამბები.

ალმფოთებს საზღვარი არ ჰქონდა.

გამოვიდა ცკ-ს ორგანიზაციული განყოფილების გამგე პეტრე ჩხეიძე და დავამშვიდა, ახლა ყველაფერი წყნარადაა, თქვენი ჩასვლა უფრო გაზრდის დაძაბულობას, ორივე მხარეს გააღიზიანებს და ნუ ნახვალთო.

26/VI 89

მთელი თბილისი მდულარე ქებას წავავს.

ყოველ კუთხეში მიტინგები და კრებებია.

ამ დილით ექვს საათზე მარნეულში კვლავ გამართულა ოციათასკაციანი მიტინგი.

რას აკეთებს საქართველოს მთავრობა? ნუთუ, მართლა არა გვყავს პატრონი?

სიტყვით მივმართე კინოს სახლის წინ შეკრებილთ.

მოვეწოდე კეთილგონიერებისკენ, მაგრამ იმასაც გავუსვი ხაზი, რომ საქართველოში მცხოვრები ყველა ერთი საქართველოს ინტერესებს უნდა იცავდეს.

27/VI 89

მარნეულსა და ბოლნისში კვლავ დაძაბული მდგომარეობაა.

ჩემი მძლოლის, თამაზ ციმაკურიძის ძმა ბოლნისში, მკერდში ხანჯლით დაუჭრიათ.

უამრავი დაჭრილ-დასახიჩრებულიაო. მარნეულისკენ გზები შეკრულია.

ჩვენი ინფორმაციის საშუალებანი კვლავ ძველებურად სტყუიან.

რა ხდება, თბილისიდან სულ რაღაც ოცდაათ კილომეტრზე საიდუმლოდ რჩება ჩვენთვის.

„მოამბემ“ მკვდრების გვარები დაასახელა და იმასაც გაუსვა ხაზი, თუ როგორ აუტეხა სროლა საბარგო მანქანიდან ქართველებს ვიაცამ, როგორ დააკავეს ის მანქანა და როგორ უპოვეს ასაფეთქებელი ნივთიერებანი და ბენზინით სავსე ბოთლები.

ვურეკავ მწერლებს, ხვალ დილით ცეკაში გუმბარიძეს შევხვდეთ და გადავწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ-მეთქი.

უმეტესობა თანახმაა მოვიდეს.

მუხრან მაჭავარიანმა, არ მცალკია, სხვა კომისიის სხდომა მაქვსო.

28/VI 89

თერთმეტ საათზე შევეგროვდით ცკ-ში. ორი „კლასიკოსი“ დაილიტა; ვინ დაგვიბარა, ვინ დაარღვია ჩვენი ბიბლიურ-კლასიკური მყუდროებაო.

ავუსენი ორივეს, ჩვენი დუმილი ახლა დანაშაულია, საქმე რომ გაფუჭდება, თავში ცემა მერე ვერ გვიშველის-მეთქი.

გუმბარიძე, ალბათ, დავგემალა.

ეს იმაზე შევატყვევ, რომ ჯერ თანაშემწემ გამოგვიტოხა, რა უნდა უთხრაოთ.

როცა დაუფარავად მივახალე, ქართველი მწერლების აზრია მარნეულში მცხოვრებ ერთი მუჟა ქართველების გვერდით დავდგეთ-მეთქი, „ზომები მიილო“, რათა გუმბარიძე არ შეგვხვდროდა.

29/VI 89

მარნეულსა და ბოლნისში მდგომარეობა დღითი-დღე მწვავედა.

საქართველოს მთავრობა კვლავ უმოქმედობის პოზიციას ადგას.

ქართული გაზეთები მოკლე და ყალბ ინფორმაციებს ავრცელებენ.

რუსული პრესა საერთოდ სდუმს.

გზები გადაკეტილია. ჩვენ, რედაქტორებსაც კი არ გვიშვებენ. არა და ყოველდღე ჩამოაქვთ ცნობები დალუპულთა და დასახიჩრებულთა შესახებ.

სანამ გაგრძელდება ასე?

უნივერსიტეტში სტუდენტები აღარ არიან, რომ დავრაზმო და მიტინგი გავმართო, ან მანიფესტაცია მოვანყო მარნეულში ქართველთა რბევის წინააღმდეგ.

30/VI 89

ავად ვარ. ჩემმა „აქილევის ქუსლმა“ გამიხსენა (ქუსლი მაქვს ვარჯიშის დროს დაბეჭდილი და დროდადრო გამიხსენებს ხოლმე).

შინ ვწევარ.

ჩვეულებრივი, მოწყენილი დღეა.

1/VII 89

ხელჯოხით, ძლივს მივალწიე უნივერსიტეტამდე.

ფეხი კვლავ მტკიავს.

ბოლო საბჭოა და უსათუოდ უნდა დავვსწრო.

საბჭოს მთელი შემადგენლობა პროტესტს და გულსტრიაკას გამოთქვამს იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლება ვერ იჩენს სათანადო აქტიურობას მარნეულის ამბებთან დაკავშირებით.

ჩვენს მარიონეტულ მთავრობას კი არც ძალა ჰყოფნის და არც გამბედაობა, რომ საქართველო სამუდამოდ გადაარჩინოს.

გვიან საღამოს გორბაჩოვი გამოვიდა ტელევიზიით.

ნაციონალური ურთიერთობები ისე გამწვავდა, რომ ქვეყანას კატასტროფას უქადისო, იმპერატორმა.

არავითარი გადასახლ-გადმოსახლება ვინ სადაც ცხოვრობს, იმ მინაზე ბატონ-პატრონად უნდა იგრძნოს თავისი.

მაშ ასე, ჩვენმა აუხსნელმა ყოყმანმა ხელმწიფე გამოალღვიდა და გამოგვიცხადა: პატარა ერები შეეგუეთ ავანტიურისტი „დიდი ერებისაგან“ ჩაყლაპვასო.

ამჯერადაც დავაგვიანეთ.

სად არიან ახლა ჩვენი „არაფორმალური“ მათი იმედი მქონდა, ისინიც საეჭვოდ სდუმან.

2/VII 89

კვირაა. მარტო ვარ.

ქუსლი მტკიავს, სიარული არ შემოდის.

ერთადერთი იმედი ტელეფონია.

თუ ასე გაგრძელდა, ხვალ საავადმყოფოში უნდა დავწვი.

3/VII 89

აფხაზეთიდან მენვია პოეტი გული ზუხბა. საბავშვო პოეტი.

მელაპარაკე, ცოცხალი ხანს, თუ ქალი ხარ, რა ხდება თქვენსკენ, როგორ, რაწარიად გვმართე აფხაზეთს-მეთქი. არ შეიძლება, თქვენ არ იცოდეთ, რომ თქვენ ხართ აფსუა, ვინ გასწავლათ ამგვარი ისტორიული ავანტიურა-მეთქი.

მეო, ბატონო, ქართულად რომ ვწერ ლექსებს, მე მგონი, ამით ყველაფერია ნათქვამი.

თუ ზუხბა ხარ (ე.ი. აფსუა), რამ გაიძულა, რომ ქართულად წერ-მეთქი.

მეო, დედა ქართველი მყავს, ქართული სკოლა დავამთავრე და სხვანაირად ვერ წარმომიდგენიაო. მამა აბაზგი მყავს. თვითონ კარგად იცის, რომ ჩვენი წინაპრები ჩრდილოკავკასიიდან ჩამოსული ტომები, მაგრამ ხმამაღლა ამას ვერ ამბობს, რაკილა სხვები გულმოდგინედ მალავნო.

ასახელებს იმ აუღსაც, საიდანაც ჩვენი პაპის პაპა ჩამოსახლებულაო.

რა ვქნათ ახლა ჩვენ? გული ზუხბა — კარგი პოეტი და ქართული ორიენტაციის აფხაზია, მაგრამ რამდენია სისხლმონამული, ჩვენი მინის დაპატრონების მოსურნე აფსუა?

ხომ შეიძლება, ერთ დღეს აფსუამ თავისად დაიჩემოს რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“?

4/VII 89

გივი გუმბარიძისთან ვიყავი.

დიდხანს ვისაუბრეთ.

მე მოვთხოვე, უფრო ქმედითად, უფრო აქტიურად იმოქმედე-მეთქი.

ახლაო, როცა როდიონოვი საქართველოზე გამწყრალია, ის ყოვლის ღონისძიებით ეცდება, ინციდენტი სისხ-

ლისღვრაში გადაზარდოსო. თანაც ამ საქმის დამკვერთვლად გაკეთება სწორად არ მიმაჩნიაო.

მე მაინც ჩემს აზრზე ვდგავარ, მაგრამ ვინ იცის, იქნებ გუმბარიძე მართალია.

იქნებ მეთოდური, მშვიდობიანი პოლიტიკა სჯობდეს?

მოქმედება კი აუცილებელია.

სხვა შემთხვევაში საქართველო დაილუპება.

5/VII 89

დღეს ვესაუბრე ნოდარ ჭითანავას, ბევრი საგულისხმო რამ მიტხრა. სხვათა შორის, ვკითხე, რატომ ჭიანჭურდება-მეთქი ქართველი ერისთვის საძულველი სერგო ორჯონიკიძის ძეგლის აღება.

მიპასუხა, გუშინ ოპოზიციის მთელი დელეგაცია იყო ჩემთან. დღეს მოვანერე ხელი, ხვალ დილით ძეგლი უკვე აღარ იქნებაო.

საერთოდ ჭითანავა ყოჩაღი, საქმიანი კაცია.

მთელი თბილისი ლაპარაკობს „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ თამაზ წიგნიჭაძის წერილზე. წარმოუდგენლად გამასხარავებელი არიან მარქსი და ენგელსი.

ვერც კი წარმოვიდგენდი შარშან ასეთი წერილის გამოქვეყნებას.

ყოჩაღ, თამაზ!

დღეს, საღამოს „ცოდნის“ დარბაზში გაიმართა ქართველი და ებრაელი ხალხების შეხვედრის საღამო.

ლამის ერთადერთი ერთგული ერი შეგვრჩა დედამიწაზე — ებრაელობა.

დარბაზი გადაჭედებული იყო.

ბლომად იყვნენ უცხოეთიდან ჩამოსული ებრაელებიც.

ალალი, გულიდან ამოსული სიტყვებით მივმართეთ ერთმანეთს.

მე ვთქვი, უთქვენოდ ჩვენი ისტორია აღარც გვახსოვს-მეთქი, თქვენ ყველაზე სანდო მონაწილე ხართ ქართველთა სიკეთის-მეთქი. ახლა, როცა ჩვენს მინას მტკაველ-მტკაველ გვართმევენ, თუ გაგვაგდეს საქართველოდან ქართველები, თქვენი იმედი გვაქვს, უნდა გვასწავლოთ თქვენი ბიბლიური გაძლებით; როგორ გადავრჩეთ-მეთქი.

6/VII 89

საგარეჯოში დიდი შეხვედრა მქონდა.

მკითხეს მარნეულის მდგომარეობაზე, მკითხეს რესპუბლიკის ხელმძღვანელთან ჩემი შეხვედრის შესახებ.

მკითხეს, ეშვებოდა თუ არა საქართველოს, მივალწეოთ თუ არა, რომ ჩვენმა შეილებმა სამხედრო სამსახური საქართველოში გაიარონ.

სამი საათი ვიდევქი ფეხზე და ვპასუხობდი შეკითხვებს.

ოფლში გავღარულმა ბოლოს მადლობის თქმა ძლივს მოვახერხე ასეთი თბილი მიღებისათვის.

ხალხი, მართლაც, რომ მოწყურებულია მართალ სიტყვას.

თბილისში გვიან ღამით დავბრუნდით. „თ“-ს იმ იტომ ვამბობ, რომ შეხვედრა დაამშვენა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა, ბ-ნმა შოთა ხაჭალიამ, რომელმაც დიდი შთაგონებით წაიკითხა ჩემი ნოველა „ტელეხიდი“.

საოცარია, როცა მსახიობი ხმამაღლა კითხულობს ჩემს ნაწარს, სირცხვილის გრძნობა მიპყრობს. არ მომწონს, რაც დამიწერია.

ინტონაციების, აქცენტების სწორად დასმას დიდი მნიშვნელობა აქვს.

7/VII 89

შიშვარელურად გავიღვიძე.

ცუდად, უამაურად მეძინა.

ნიდაგ ხვალინდელ დღეზე ვფიქრობ. რა მოხდება ხვალ?

სადამოთი გურჯაანს ვესტუმრე.

კულტურის სასახლეში დიდი შეხვე-

დრა მქონდა.

ვისაუბრე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მიზნებსა და მიმართულებებზე.

ვუპასუხე შეკითხვებს.

8/VII 89

შაბათია.

კინოს სახლთან, სადაც სახალხო ფრონტის შტაბ-ბინაა, დილაადე გაგრძელდა მიტინგი.

ძირითადად ანარქიული ხასიათის მიტინგებია: ერთნი მოუწოდებენ მშვიდობიანობისა და გონივრული მოქმედებისაკენ, მეორენი — შეიარაღებულნი ბრძოლით საქართველოს განთავისუფლებისკენ.

შეიარაღებით და ძალით რუსეთთან ეროვნული საკითხის მოგვარება შეუძლებელია.

სისხლი არ უნდა დაიღვაროს. მშვიდობიანი გზით უნდა გავიდეთ სსრკ-დან.

9/VII 89

გუშინ, 8 ივლისს, საქართველოში სისხლი არ დაღვრილა.

მილიციამ იყოჩაღა.

დაკეტულია მარნეულის ყოველი სოფლიდან გამოსასვლელი გზა.

მონმდებოდა მარნეულისკენ მიმავალი ყოველი მანქანა.

სპეციალური საშვის გარეშე მარნეულ-ბოლნის-დმანისში მიმოსვლა არ არის.

რუსთაველზე შემხვდა მარჯანიშვილის თეატრის მთავარი რეჟისორი თემურ ჩხეიძე.

გეძებდიო. კოტე მახარაძის თეატრი დარეჯანის სასახლიდან გამოაგდეს (იქ სასტუმროს მსგავსი იხსნება), ჩვენ შევიფარეთ, კვირაში ორი დღე დავუთმეთ.

მიხვდი, საითაც უკაკუნებდა.

შენთან უმორჩილესი თხოვნა გვაქვსო; უნდა გადაწყვიტო; კოტემ დადგას „აპრილი“ თუ მე - „ნაპარალი“.

ორივე ერთ თემაზეა და ერთ თეატრში ორი მსგავსი სპექტაკლი არ შეიძლებაო.

შენ როგორ ფიქრობ-მეთქი. მეო, გამოსავალს იმაში ვხედავ, რომ რაკი კოტეს დაწყებული აქვს, მე თვითონ დავდგამ „აპრილს“ (კოტეს თეატრის სახელით), ხოლო „ნაპარალი“ სხვაგან წაიღეო.

უკვე გადაიწყვიტა-მეთქი, გამეცინა.

ასე გამოკრეს კვანტი ჩემს „ნაპარალს“.

ფიასკო, მარჯანიშვილის თეატრშიც! თემურ ჩხეიძე უფრო პატიოსანი კაცი მგონია, ვიდრე ამ ეპიზოდის გამოიყოფილა.

უნივერსიტეტში ვახტანგ ქარუმიძეს შეხვედი. იშვიათად მინახავს ასეთი თავაზიანი, დახვეწილი და გულთაფი კაცი. ყველაფერი წაკითხული აქვს, ყველაფერი იცის. თვითონ არ უთქვამს, მაგრამ სხვებმა მიამბეს, როგორ დამიცვა თურმე ერთხელ ცეკაში „კომუნისტში“ დაბეჭდილი ნოველის გამო („თვითმკვლელობა“), მორიგ „ჭკუის სწავლებას“ რომ მიპირებდნენ.

გვიან ღამით გურამ მგელაძემ (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე) დამირეკა და შემახსენა, არ დაგავიწყდეს, ხვალ დალესტანში მივფრინავთო.

ცხრა საათზე გამომივლის.

10/VII 89

დილის ათ საათზე მახაჩყალაში გავფრინდით გურამ მგელაძე, მუხრან მაჭავარიანი, გურამ ფანჯიკიძე, მე, ვახტანგ გოგუაძე და თემურაზ ოსეფაიშვილი (ყვარლის რაიკომის მდივანი).

თან მიგვქონდა სამასი ლეკის ხელმწიფე სია, რომლის ძალითაც ლეკები მოითხოვდნენ თავიანთ სამშობლოში, დალესტანში დაბრუნებას.

დილით მიგვიღო დალესტანის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ აბდურაზაკ მარდანოვიჩ მირზაბეკოვმა და

მოადგილემ მაგომედ რაჯიდოვიჩ აბდულბასროვმა.

პოლიტიკის და დიპლომატიის რამეთოდები არ ვიხმარეთ, მაგრამ ლეკებმა თავიანთი ხალხის უკან დაბრუნებაზე უარი განაცხადეს.

მოსალოდნელ საშიშროებაზეც ვესაუბრეთ, ისიც შევეთავაზეთ, რომ დალესტანში მცხოვრებ (150 ოჯახი ცხოვრობს თურმე ქართველები) ქართველებზე გაგვეცვალა, არა და არა.

დაუსაბუთებელმა, აუხსნელმა უარმა ნერვები მომიშალა. განსაკუთრებით ვაქტიურობდით მე, გურამ მგელაძე და გურამ ფანჯიკიძე.

ოთხ საათზე მიგვიღეს საოლქო კომიტეტი.

პირველი მდივანი მოგამედ იუსუპოვიჩ იუსუპოვი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის თავმჯდომარე — მუგამედ ალი მუგამედოვიჩ და იგივენი ვუსხედვართ საათობირო მაგიდას (ჩვენს გარდა დალესტანის შინაგან საქმეთა მინისტრი და უნივერსიტეტის რექტორი).

კვლავ მტანჯველი სამსაათიანი მოლაპარაკება.

ლუკის მიზანი აშკარა გახდა. არ გვსურს ლეკების დაბრუნებაო. პირიქით, ისინი მანდ უნდა გამრავლდნენ, საქართველოში კარგი მიწებიანო. გურამ მგელაძემ ყიზლარის საძოვრებზე დასახლება შესთავაზა. უარი გვიტხრეს, იქ ცუდი პირობებია და ჩვენს მოძმეებს ხომ ვერ მოვატყუებთო.

ისე ჯიუტობთ, თითქოს ქართველებს გიზავნიდეთ, ეს ხომ თქვენი ხალხია-მეთქი, რომლებსაც დახოცვის საშიშროება ემუქრებათ თავიანთი ცუდი საქციელის გამო-მეთქი.

გურამ მგელაძემ, 300 მოსახლე სოფელ სარუსოს და თხილისწყაროს ყველა მცხოვრები მოითხოვს სამშობლოში დაბრუნებას, ნუთუ თქვენ მორალური უფლება გაქვთ, მათ უარი უთხრათო.

უცერემონიო, უშელავათო უარი გვიტხრეს.

რაიკომის მდივანმა განმარტა, ჩვენი ლეკები უპრეტენზიო ხალხია, წუნთის და კიზილუტოვსკის მთიან რაიონებში დასახლებაზე თანახმა არიანო.

საქართველოში სულ 811 ლეკის ოჯახი ცხოვრობს (3500 კაცი).

ჩვენ ამჯერად 300-ის გაცვლა გვსურდა. 500 ლეკის ოჯახი საქართველოში რჩებოდა.

არც 300-ს იბრუნებენ.

გურამი 50-ზე ჩამოვიდა. თავდაპირველად 50-ზეც უარი თქვს. მერე, როგორც იქნა, დათანხმდნენ განაპირა მთიან სოფლებში მათ ჩასახლებაზე. ოღონდ ნან-ილ-ნანილ, დროთა განმავლობაში.

მუხრანი, როგორც ყოველთვის, ჩუმადიჯაა.

შენ ნაუშალები საფლავი, ღმერთო, ვინც ჩვენ ამ დღეში ჩაგვავდაო.

ვინც საქართველოს ყველა ჭიშკარი გაალო და გადამთიელი შემოუშვა.

11/VII 89

მთელი დღეა მირეკავენ და დალესტანის ვიზიტზე მეკითხებიან.

ჩვენი ხალხის მოთმინების ფიალას რამდენიმე წვეთი აკლია, ეტყობა, მის ავსებას ელოდებიან.

რა გაენწყობა, ვიღებთ ამ ორთაბრძოლას (ხუთთან ბრძოლას, ასთან ბრძოლას).

რადიოში მედეა გეგეშიძემ ერთსაათიანი ინტერვიუ ჩაწერა ჩემთან. ჭკვიანი, ლამაზი ქალია.

შევიარე ივლიტა მესხიშვილთან ტელევიზიაში.

„ხორავას სახლის დიალოგის“ გადაცემის ბედი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია.

ემილია ქ-ნი ივლიტას. ახ, ეს ძველი სკოლა!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დიდგორის ომის 900 წლისთავის კონკურსში გამარჯვებულნი:

ბრან-პრით დაწილმოვდენა:

დავით აღმაშენებლის სახელობის ოქროს მედლები გადაეცათ:

დავით თედორაძე

ჯემალ ინჯია

ვახტანგ ლლონტი

ქეთი დოლიძე

აღმაშენებელი

შენა თაყვი

„დედანა“ მოზრდილთათვის

...და მერე კვართის პატრონიც მოვა

აი ია, აი ტყვია,
აი, „საქართველოს გული...“
აი, თითი, თოფის ჩახმახს
(წინამურთან!) გამოკრული.

„იბერიის ქვეყანაში ეშმაკი ვერ დაჯდება...“
წმიდა ლავრენტი ჩერნიგოველი

აი ია, აი სია
უცოდველი ზვარაკების;
გულდაგულ რომ გვიმალავდით,
რომ არ გვალაპარაკებდით.

ვინ შეებმება მახინჯთა ხროვას?!
ვინ გაიმზადა სულის საგზალი?!
ბებერო ერო, რამ დაგალონა,
შენთან უფალი დედას აგზავნის.

აი, ლალა ლალატისთვის -
მინა წარყვნილ-წაგლეჯილი.
სულ მწვანეა, არც იზარდა,
არც დაპურდა ის ჯეჯილი.

რისხვა ეშმაკის სუნთქვას გიგუდავს,
ხმა კრეტსაბმელის შეგაზანზარებს...
დღესაც გაჰფანტავს ვერცხლებს იუდა...
შენ კი აღსდგები, როგორც ლაზარე.

არც ტბა ბაზალეთის პირას,
არც ტბის ძირას ის აკვანი.
არც ცოტენ სჩანს, თავის ნებით,
მონღოლებთან მისაყვანი.

მერე რაა, რომ ხალხი გიჟდება,
მერე რაა, რომ „ხალხი იცინის“...
თუმცა სიცოცხლის ფასად გვიჯდება,
რომ გაგვასხვისეს ლინინ-ლინინით.

არც „გალობა სინანულის“-
მეფის რანთა და აფხაზთა.
ოცზე მეტი საუკუნე
ორ-სამ წელში გადაფასდა.

სისხლი აწვება წვერებს ინიანს...
არ გაყიდულა ჯერ კიდევ ფხოვი...
ნუ გეშინია, ნუ გეშინია,
ნუ გეშინია მახინჯთა ხროვის!

აი ია, აი რია-
რია გამფლანგველი გენის.
ოჰ, სამშობლოვ, სამშობლოში
რატომ ვერსად მოგაგენი.

არავითარი „ჩიპი“ და კოდი!
მოედოს ბოლო თარეშს და გლოვას!..
დედა უფლისა მცხეთისკენ მოდის...
და მერე კვართის პატრონიც მოვა...

ჩვენზე შემომწყრალი ღმერთის
შენწყვეტილი სამაია...
აი, ჩვენი „დედაენა“,
აი, ჩვენი „აი ია!“

ზაალ ებანოძე

ბრძოლა, ბრძოლა და ბრძოლა

დაგლოვებაში ჩადებულ ნაღველს რომ
ახლავს ძალა,
ნიავებს დაყურადებულ სალამურებში
მალავ.
მწუხარებას რომ გაატანს დაღირებული
მზერა,
წამოგაყვირებს პაატას მტკივანი
ბედისწერა.
უფსკრული - ჩაძირებული,
ჩაფერდებული - ციხე
გულიდან, ატირებული, ეკალს რომ
ხელით იღებ,
ყინრობით თავს შეგახსენებს სერზე
გოდოლი ძველი,
შესუდრულ-შენახავსები ნამეტანობის
ხელით.
გეხანჯალეა იარა და დამშვიდებას
ებრძვის,
მარტო ნამდვილი კი არა, გამითებული
ვერძიც,
დუშმანს მიეცი მდევარი, გაიზარნიშე
მთვარით,
ქარქაშში დაუტევარი აღმაშენებლის
ხმალი.
ხანძარი - დაუფარავი, ვნება - ხანძარის
ფერი,
ჰა, მოთმინების კარავიც, გადარღვეული
ჭერი.
საცაა ამოფრინდება ასიათასი ურჟოლა,
პირველი - რაც მოგინდება: ბრძოლა,
ბრძოლა და ბრძოლა.

თემურ ლანჩავა

ხელებს გავშლი და ჯვარი ვარ,
ბატკანს ავიყვან — ნიკალა,
დაბადებიდან ცრემლი მდის,
წვიმამ არ გადაიკარა,
დრომ უსაშველოდ გამთელა,
გამცვითა, ფიქრად მაქცია,
მე რომ სიცოცხლე მგონია,
იქნებ სიცოცხლე არც კია,
იქნებ სიკვდილი არც კია
თვალის მოხუჭვა მარადი,
იქნებ ქურდობა არც კია,
დროს რომ სიყვარულს ვპარავდი.
მჯიჯგნიდა ნუთისოფელი,
ყვავი, ყორანი, ჭილყვავი,
დღემდე ვერ დამიდგენია,
ვიყავი თუ არ ვიყავი.
მაინც შემოვრჩი ჩემს საფლავს,
რომ იარსებოს ვულკანმა,
სიკვდილის დასაშინებლად
ერთი სიცოცხლე თუ კმარა...

ნიკა ქვრივიშვილი

სავაზნე დღეები შეაშრა სხვა დრომას,
წერტილი, ძახილი... და კითხვის ნიშანი?
და ომმა ისეთი მშვიდობა წარმოშვა,
შენი ძმა უჩოხოდ რომ ველარ იცანი.
ლუკმაგაჩხერილი ღამეა, ხროტინობს,
ცა ქექა-ქუხილობს ღმერთების მიწაზე
და სიკვდილ-სიცოცხლით გამომძღარ
მონიტორს
„ბავშვობადაკარგულ“ თაობას
მიანერთ.
იქ ღმერთი არ იყო, ღმერთი დენთს არ
ყვარობს
და ბოლო გემიდან გვისროლეს
ბელტივით,
ცალ ფეხზე მკიდია უშენო სამყარო,
რამ გაალტოლოვია ამდენი დევნილი?!
კეტებით ჩამოვალ და ძველი ჯინსებით,
გზადაგზა რაიმე სიმღერას დაგინერ,
„საზღვარზე“ გადმომაქვს
ლექსტალაქტიდები,
ვერავინ დამიჭერს...
ნუ შეგეშინდება ახალი ნაცნობის
იქ, სადაც კარია, ელიან შელებას,
მოვალ და საერთო ტკივილებს
დავეკოცნი
და მერე ყველაფერს თავიდან
შევლებავთ...
კედლებზე დავხატოთ შოთა და
ბობ-მარლი,
შავი ზღვა საბნად და პიჟამა ნიჟარის
მოვირგოთ, ახალი თაობის მორალი
არ გვექონდეს იჯარით...
ნაბიჯ და ნაბიჯ და კიბე და კიბე და
შენმა ზღვამ, ჩემმა ზღვამ, ყინული
გარიყოს,
შენ რჩები, მე ვრჩები, იმდენის იმედად,
რომ ომი არ იყოს...
სავაზნე დღეები შეაშრა სხვა დრომას, -
წერტილი, ძახილი... და კითხვის ნიშანი?
და ომმა ისეთი მშვიდობა წარმოშვა,
შენი ძმა უჩოხოდ რომ ველარ იცანი...

ვანო ჩხიკვაძე

ორღესული თოვდა

თოვდა. თოვდა. ლიხს აქეთ და,
ლიხს იქითაც თოვდა, თოვდა.
თოვდა წრომთან, თოვდა შოვთან,
შროშასთან ხომ თოვდა, თოვდა.

მოდიოდა სპა დავითის,
ქარბუქების წყვეტდა გორგალს.
შავი ცხენი, დარახტული,
ყინვას ხვრეპდა, თოვლსა ძოვდა.

ყველა ტაძრის დედო-ზარი
მოლოდინით გაირინდა.
ღმერთო, ჩვენი ბედ-იღბალის
რა ბრწყინვალე დარი იდგა-

თოვდა. თოვდა. მახარობლად
მალემსობოლი მიმოქროდა
მაშრიყიდან მალრიბამდე
გული საგულეში გვექონდა...

მერამდენე საუკუნე
ელოდება უფლის ნებას-
ლიხი-საქართველოს მაჯა-
დავითის ხმლის გაბრწყინებას...

თოვდა. თოვდა...

ედუარდ უგულავა

ქლევანი საკვირველი

ჯერ დილაა,
ჯერ არ არის აგვისტოს მზე მწველი,
ველარ იტევს თურქ-სელჩუკთა ჯარს
დიდგორის ველი.
მტრის სიმრავლე, ესოდენი, მნახველს
ტოვებს სახტად,
დაურდილავს ცის სილურჯე მათთა
ბაირალთა.
მომხვდურს ერთი სურვილი აქვს, ერთი
ჟინით იწვის -
სრულად აღვას საქართველო
პირისაგან მიწის...
მაგრამ მამულს არ დათმობენ, სული
უდგათ სანამ,
ორ მთას შორის ქართველები
ჯებირივით დგანან,
მათ თვალეში სიმტკიცე და უფლის
რწმენა სუფევს.
იქვე მდგარი ყივჩაღები აწვალენ
შუბებს.
ამართულა ცისკენ ჯვრები,
შლიან სეფე დროშას,
ქართულ ჯარში ასიოდე ჯვაროსანიც
მოჩანს.
მოლაშქრენი აღვირებით ძლივს იჭერენ
ცხენებს;
ეჰ, რამდენი დღეს ხვალინდელს ველარ
გაითენებს...
გული მათი აუნონელ ფიქრს და ვარამს
იტევს —
ვის დარჩება საქართველო, მაჰმადსა
თუ ქრისტეს?!
ციდან უკვე დამშეული ყვავ-ყორნები
ყეფენ.
საქართველოს ჯარს მიმართავს
საქართველოს მეფე:
- ეჰა, ქრისტეს მეომარნო, ვიდრე გული
გვიცემს,
თუ ღვთის რჯულის დასაცავად,
მტერს დავხვდებით მტკიცედ,
არა მარტო ეშმას მსახურთ
დავაფეთებთ ხმლებით,
თვით ეშმასაც დავამარცხებთ, უფლის
მეოხებით!
ჩვენ შევკარით ვინოები, ხით
ჩავხერგეთ ხევი,
გზა ყოველმხრივ მოჭრილია უკან
დასახევი.
მტერს, რომ ზურგი შეაქციოს, ვის
მოუვა აზრად?!
სიკვდილი ან გამარჯვება, არ არსებობს
სხვა გზა!..
უცებ მტერი აჩოჩქოლდა, რადგან
ნათლად ხედავს,
თავის მხარეს გადმოშავალ ორას
ქართველ მხედარს.
მცირე რაზმი ურიცხვ ლაშქარს ვერ
მოუტანს ზიანს,
გზას უხსნიან, რადგან მოსულთ
მოლაღატედ თვლიან.
მტრის რიგებში შეაღწიეს ქართველებმა
ოდეს,
იძრეს ხმლები, ხერხს მიმართეს
ყოვლად მოულოდნელს.

სასიკვდილოდ განწირული, ძალა ერთი
მუჭა,
ჯარს ყივილით დაეძგერა, ღვიძლს
შიგნიდან უჭამს;
და იმავ წამს ქართველებმა სცეს
საომარ ბუკთა,
დაბნეული შეტორტმანდა ჯარი
თურქ-სელჩუკთა.
დაძრა ცხენი დავით მეფემ,
ურყეველმა გულით,
სმენას ბზარავს ყიჟინა და ფლოქეთა
თქარათქური.
ხმლები თეთრად ელვარებენ, მზეზე
ჯაჭვი ბზინავს,
რკინა, ცეცხლში განრთობილი,
ეხეთქება რკინას.
იღქება საჭურველი, ილენება ძვალი,
იბრძვის დავით და ომშიაც მეფეთ
მეფე არი...
თავს სწირავენ მეომრები მისაღწევად
მიზნის,
იბრძვიან და ხმაურისგან ცა და მიწა
იძვრის;
და ფრიალი ცემისაგან ხმალი გალღვა
როცა,
მონყდა მთიდან მხედრიონი, მტერმა
გაიოცა, —
რა გრგვინვაა?! რა ზარია?! რა ღვთის
რისხვა არის?!
ეს დემეტრე უფლისწული თავის
რჩეულ ჯარით
დაეშვა და ქვა და ღორღი დაიყოლა
თანა,
მომხვდურს ფერდი შეუღენა, გროვად
გაიტანა.
გატყდა მტერი, ველარ იტევს
აურაცხელ ზარალს,
იკლაკნება, ხერხემალი ისე დაეზარა.
თავს შველიან, სიცოცხლე სურს -
ჭკვიანსა თუ რეგვენს
და გარბიან, თან ერთმანეთს
უმონყალოდ სჯევენ.
ძარღვში სისხლი დაძაბუნდა, პირში
ნერწყვი გაშრა
და ტფილისმა გაიგონა ქართველების
ვაშა...
კვლავ ცხენდაცხენ მიჰყვებიან
მეომრები პატრონს,
მტერს საზღვრამდე უნდა სდიონ,
სული ამოჰხადონ...
დავითს წამით ჩაელიმა, არად აგდებს
წვრილმანს,
რა ქარქაში კვლავ უარყო ხრმალმან
დაღვლარჭნილმან.
გვირგვინოსანს ქვეშევრდომნი
შეჰყურებენ რიდით,
დღეს მეფემან, მკლავმარმან „ქმნა
წყობანი დიდნი“.
.....
ასსოვს მამულს მტერთა ზედა ძლევა
საკვირველი,
ახლაც იშრობს თურქ-სელჩუკთა
სისხლს დიდგორის ველი...
მადლი იმ დღის მავანს დღემდე გულს
ესობა ისრად,
მხნეობითა ქართველთა და შეწეწითა
ღვთისა...

მაია მიქაია

მტკვარი

დის თბილისში მტკვარი დუნედ,
მერამდენე საუკუნე.
ახსოვს სუნთქვა ოპიზართა...
მეფეთა თუ დედოფალთა...
სხვათა გენიც, სხვათა გემიც,
ახსოვს სევდა გილგამეშის.
ათჯერ ათი ათას წმინდანს
სისხლი მტკვარში გაუცივდა.
განთიადი მზისფრად ქარგავს
კლდეებს — საუკუნეჩამდგარს.
ატარებდა ზურგით ტივებს,
პოეტურად მოტივტივეს.
მთვარით მთვრალს და ღვინით
მრეშებს,
ირეკლავდა აზარფეშებს,
თან მიჰქონდა მღვრიე გულთან
ცრემლი ჩუმ შეყვარებულთა.
ახლაც მიაქვს... თვალუბამი
მიაქვს დარდი დღის და ღამის.
მიაქვს ხსოვნაც, დავინყებაც...
მიაქვს, რაც კი დროს მიჰყვება.
ჯერ ქრისტემდე ბევრი წელი
წყალუხვი და ნაპირვრცელი,
ქრისტეს მერეც მოდუდუნებს -
ოცდაერთი საუკუნე.

მარცხნით ბუმბერაზებს ჰკვლიდა;
მარჯვნივ ვარსკვლავს ჩამოხსნიდა.
კლარჯეთს, წუნას, მანგლისს,
ბოლნისს,
ერუშეთს და ჩელებს ჰქმნიდა;
ნიჭი საქართველოს მოვლის,
კაცი იყო, ვახტანგს ჰღლიდა.
ეგრისს იყო,
ეგრისელი ბრუნდებოდა ეგრისიდან;
არაგვს იყო, არაგველი
ბრუნდებოდა არაგვიდან;
თუშეთს იყო, ფშავეთს იყო,
დარილანს ტკეპნა თოვლი
ნიჭი საქართველოს მოვლის
ღლიდა, განა, არა ღლიდა
თარხანი და ბაყათარი,
კეისარი,
მეფე სინდის
ანვებოდა ოთხივ მხარით
ვახტანგს —
საქართველოს სინდისს.
არცა სპარსის სტავრა იცვა,
არცა რომის აბრეშუმი;
მიწა, მშობლიური მიწა
გახლდათ მისი ლომის გული;
ჰგავდა გრიგალს,
ჰქროდა რისხვით,
ბრძოდა ერთპირ,
ერთ ძახილით —
მხოლოდ საქართველოისთვის,
მხოლოდ საქართველოისთვის
ალიღეო ხელთ მახვილი.
გულმა ნისლი ჩაიხვია
და მიმინოს გაჰყვა კენესით,
ბედი ჩემი კრწანისია,
ცრემლი - მეფე ერეკლესი...
სულში ისევ დაისია
და გოდება დემეტრესი,
სუნთქვა სისხლით დაისერა,
როგორც დროშა
კოჯრის მზეში...
ამოდიან გვირილები -
დაცხრილული სურვილები,
ხმლებჩამქრალი არაგველნი
სიმწრისაგან ურვილებენ...
ცა ქვითინებს, ამ ვაების
ალარავის აღარ ესმის...
ქართლში ისევ დაისია,
გულს მისერავს
მწუხრის კვესი,
ბედი ჩემი კრწანისია,
ცრემლი მეფე ერეკლესი!

ავთანდილ ყურაშვილი

გორგ-ასლანი

ვახტანგ! ნუ გალადღები!
ქართლის ცხოვრება

- 1.
მზის ამოწვევის დრო იყო
აღმოსავალის კარად,
მეხრმლემან ხრმალი მოილო,
მემშვილდემ მშვილდის ტარა;
დაჯდა, დაზნიქა დალიჭი,
ხელი აღმართა, ბრძანა —
ჩქარაო თეთრი ტაიჭი,
შავი ტაიჭიც ჩქარა.
ჩამოიღრუბლა პირ-სახე,
ელვა და მეხი ჰყარა,
სამანზე მომდგარ მტრისაკენ
მოყმენი გააქანა.
2.
არცა სპარსის სტავრა ეცვა,
არცა აბრეშუმი რომის,
თავად ქართველის მეუფესა
მკერდში გული ედვა ლომის.
ოროლს გაიქნევა, ღირდა;
გასტყორცნიდა ისარს, ღირდა;

თამარ შაიშმელაშვილი

ბედი ჩემი კრწანისია

გულმა ნისლი ჩაიხვია
და მიმინოს გაჰყვა კენესით,
ბედი ჩემი კრწანისია,
ცრემლი - მეფე ერეკლესი...
სულში ისევ დაისია
და გოდება დემეტრესი,
სუნთქვა სისხლით დაისერა,
როგორც დროშა
კოჯრის მზეში...
ამოდიან გვირილები -
დაცხრილული სურვილები,
ხმლებჩამქრალი არაგველნი
სიმწრისაგან ურვილებენ...
ცა ქვითინებს, ამ ვაების
ალარავის აღარ ესმის...
ქართლში ისევ დაისია,
გულს მისერავს
მწუხრის კვესი,
ბედი ჩემი კრწანისია,
ცრემლი მეფე ერეკლესი!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ბაგრატ ბადიდი

დიდგორი

ყველა ომსა და ყველა სისხლძარღვს აქ ჩამოგიტოვლით სულ რიგრიგობით, მაგრამ დიდგორზე რა უნდა გითხრათ, საკვირველია მართლაც დიდგორი!

რა მიგავს თუნდაც თეოდორ მომზენს (ჰომეროსამდეც მივლია ბევრი...), მინდა გაიბოთ დიდგორის ომზე, თუ როგორ ვძლიეთ ურიცხვი მტერი.

თქვენ აღბათ იცით, ჩვენი თბილისი მტრის ხელში იყო 300 წელი, მტრის კლანჭებისგან გამოსხნა მისი აღმოჩნდა ერთობ რთული და ძნელი.

ეახლნენ თურმე ბაღდადში სულტანს თხოვნით, ტფილელი მუსულმანები; „დაგვიბრძოვესო გურჯებმა სულმთლად... საჭიროაო გურჯების დასჯა“.

ისმენს ამ ამბავს სულტანი და ჯარს შეკრებს სულტანი; მისი ბრძანებით - მისივე ნებით და თანადგომით საქართველოსთან დაიწყეს ომი.

მოხდა ის ომუ ათას ას ოცდა ერთ წელს, ხუთშაბათს, 12 აგვისტოს. ეს იყო ჩვენი დიდი გამოცდა. ამ წმინდა თარიღს ვეღარ აღგვის დრო.

ჩვენ კენ დაიძრა მთელი აზია, ჯარს რომ მოუძღვის ეს ილლაზია! და დიდ გულზეა ამირ ილლაზი, სურს გადაუსვას ჩვენს ჯილაგს ხაზი.

ილლაზისაგან ელოდნენ ნიშანს და თვლა არ ჰქონდათ აგარიანებს... „ტაში ვარსკვლავებს და ზღვაში ქვიშას სჭარბობდნენ“, - წერდა მემბატანი...

ურიცხვი მტერი, გითხრათ მართალი, ჩვენს მოსასპობად გამოემართა... ამირ ილლაზი, ჯარის სარდალი, ითვლიდა მეგრძოლს 600 ათასს...

35 000 კაცით მტერს შეუტია მეფემან დავით, თუკი მორჩილად დახარე თავი, სულის მოთქმასაც არავენ გაცლის.

ჩვენთან იბრძოდა 500 ოსიც (როგორც „როქის სპა“) და ყივჩაღები. და გვყავდა ჯარი მართლაც ნაღები, ეს იყო ძალა საქართველოსი.

ისიც ვთქვათ, მეფე იქ ყივჩაღთაგან რომ გამოიყვანს მესამედს მხოლოდ. გამოიყენებს დანარჩენს ბოლოს, ხანგრძლივი ომი თუკი გაჩაღდა...

თქვა დავით მეფემ: „მოგჭრათ ხეები და ხის მორებით ჩავხერგოთ ხევი,

არ დავიტოვოთ გზა დასახევი... გულანთებულად მომხვედურს შეებით: მტრების სიმრავლით ნუ შეშინდებით. მტერს უნდა ვძლიოთ, არა გვაქვს სხვა გზა, უნდა დავიცვათ მამული ჩვენი. ქრისტიანებო, ღვთისადმი რწმენით არა თუ მხოლოდ ეშმას მიმდევრებს, ჩვენ დავემარცხებთ თვითონ ეშმაკსაც“.

და სწორედ ამ დროს, მეოხად ჩვენდა, წმინდა გიორგი გამოჩნდა ცაზე... და ეს არ გახლავთ მითი, ლეგენდა, ჟამთაღმწერელი აღნიშნავს ასე.

რომ ჩაუნერგონ ქართულ ჯარს შიში, ხოლო თავიანთ მხედრებს მხნეობა, ახმაურდება თურქმანთა ჯიში, გამოაყრუეს მთელი ხეობა...

„გადმოდგა მტერმა მისკენ ნაბიჯი და დგას დავით მშვიდი და დინჯი და ხმას არ იღებს, მისი ჯარი კი ნიშანს ელოდა“ - წერს ალ ფარიკი.

სანამ დაჰკრავდა საბრძოლო ჰანგი, ჯარს გამოეყო „ორასი ფრანგი“ მიუახლოვდა ილლაზის ბანაკს თავდაჯერებით, მშვიდად და წყნარად.

ამ საქციელით დაიბნა მტერი, ვეღარ გაიგეს მათ ვერაფერი, ვერ მიმხვდარიყვნენ, რა სურდათ „ფრანგებს“, ვერ მიხვდა მტერი, ისინი განგებ რომ თამაშობდნენ ღალატის „სცენას“, გვიანდა იყო თითებზე კბენა... ასე გადმგვცემს ფრანგი გოტიე (გასაგებია მისი მოტივი).

თუმცა არაბი იბნ ალ ნასირი ყივჩაღებდა თვლის იმ ორას მეგრძოლს, ვერაფერს გეტყვით, ვინ იყო კერძოდ ის იღუმალი ორასი გმირი.

ზოგი იმ გმირებს თვლის ქართველებად: „საძნელო საქმეს დავითი უცხოს არ ანდობდაო“, სხვა რა გაუწყობთ, თუმცა ბაასი არ მეძნელება.

ეს იყო ჩვენი ხელმწიფის ხრიკი, მისი სიბრძნე და მისი ტაქტიკა, „მოტყუებული დარჩა სასტიკად იმირ ილლაზი“, - წერს ალ ფარიკი.

მტერი ბევრია რიყის ქვებით, დიდგორის ველზე ვეღარ ეტევა და წამოიწყო მეფემ შეტევა ომისთვის ფრიად ჩვეულებრივი.

როდესაც აფთარს ეკვეთა ლომი და ჯავარდენმა სისხლი დაღვარა, როცა ჩაჰბერეს ბუქს და ნალარას, დიდგორის ველზე გაჩაღდა ომი...

სისხლმა შეღება დიდგორის ველი, იქ გმირი იყო ყველა ქართველი. ძეს ხელმწიფისას, დემეტრე პირველს ემორჩილება მარჯვენა ფლანგი... ამირ ილლაზი განიპირეს,

ამირ ილლაზმა უკვე გაფლანგა ნდობის რესურსი საკუთარ ჯარში... მთავარსარდალმა დაჰკარგა ძალა, ჯარი ხელიდან გამოეცალა და გაიძურნა დაჭრილი თავში.

იყო აგვისტოს 13 რიცხვი, მოვიგერიეთ მტერი ურიცხვი.

სურდათ დაეპყროთ მთელი ევროპა და უნებლიედ ჩვენ შევაცოვინეთ, დამარცხებულებს ძალა და ღონე მას დასალაშქრად აღარ ეყოფათ.

მიტომ იბრძოდნენ აქ ჯვაროსნები, მათი სურვილით და მათი ნებით. ისინი იყვნენ მოხალისენი და ჩვენ ევროპაც აღბათ ვიხსენით.

სურდათ მოესპოთ ყველა ქართველი, რომ არ ეყვილა მამალს ყიყლიყო... ვერ მოგვსპეს, ჰოდა, ამიტომ იყო ის ომი დიდი და საკვირველი.

გამოგვიცხადა მტერმა ჯიჰადი... როცა მოსპობას მტერი გიქადის, ცდილობ დაცვა შენივე თავი და შენი კერა და სალოცავი...

და ყველაფერი არის ნათელი, არაფერია აქ საკამათო... და გასძახოდა ქართველს ქართველი: „არ შემოუშვა, დასცხე, ჰკა მათო!..“

იქნებ იკითხოთ აქ ზოგ-ზოგებმა, როგორ ეყოთ სამი საათი იმ საშინელი ომის მოგებას? აგარიანთა მოდგმა და ტომი, მათი ჯილაგი და ჯამათი ვერ გაჯეჯილდა ქართულ მიწაზე. ასე დასრულდა დიდგორის ომი, ცა იყო დიდი სინათლით სავსე, ღრუბლის ნასახი ცას არსად ეკრა და გაისმოდა ზარების რეკვა...

დავითმა მტერი თუ დაამარცხა, გააჩნდა მეფეს ტაქტიკა ბრძოლის, უკვე აღვნიშნე, იქ დიდი როლი რომ ითამაშა ორასმა კაცმა...

რომ შევაფასოთ ის ომი სწორად, ჩვენ გამარჯვებას მარტო იმ ორას კაცს ნუ მივანერთ, ვიბრძოლეთ ბევრი, ლამის მთლიანად მოისპო მტერი, ქართველები კი შვიდი ათასი, აქვს გამარჯვებას მაღალი ფასი.

რომ არ მოგვეგო დიდგორის ომი, ის მოხდებოდა, რაც მტერს ენება: ჩამოსახლება თურქმანთა ტომის და ქართველების გადაშენება.

არ გვიცხოვრია არასდროს უქმად და გახსენება წარსულის გვმართებს, როგორც იოსებ ნონეშვილს უთქვამს: „დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს“.

12 აგვისტოს რომ დაიწყო დიდგორის ომი, გაგრძელდა მთელი ერთი კვირა მტერზე შეტევა...

ბევრნი არიან, მტერი ვერსად ვეღარ ეტევა, მაგრამ 12 აგვისტოდან ყველა შემდგომი დღეები იყო უმნიშვნელო, სწორედ ამიტომ გამარჯვების დღედ ვასახელებთ:

12 აგვისტოს.

ამ დღეს გადატყდა თურქ-სელჯუკთა არმია წელში, გამარჯვების დღედ ეს დღე არის

დათქმული, წესით.

ეს იყო ჩვენი გამარჯვება ყველაზე დიდი და რა გვაქვს სხვასთან დასამალი და მოსარიდი?

აქ აღესრულა ბევრი ალა, ბევრი ეფენდი, სამტროდ მოსული, თავგასული,

ამპარტავანი.

„ნუ იზვიმებთ „დიდგორობას“ - ამბობს მავანი,

რამეთუ ის დღე დამარცხების დღე არის ჩვენთვის“.

„დიდგორის ომში“ რომ დამარცხდნენ თურქ-სელჯუკები, ისინი ჩვენი წინაპრები იყვნენო“, - ამბობს. ვინ იფიქრებდა, ილლაზს იმ ომს თუ მოვეუგებდთ და იქმნა საქმე საარაკო, საღიფთარაბო...

ესირცხვილებათ ჩვენს მეზობლებს ომის წაგება...

უნდოდათ ჩვენი აოხრება-გაჩანაგება, ჩვენ თავს ვიცავდით და ძნელია ამის გაგება?

პატივს ნუ სცემთო, ქართველებო, თქვენს მეფე დავითს, - მავანი ამას გვეუბნება, სხვას კი არაფერს. მედგრად დაუხვდა დავითის სპა

თურქებს, არაბებს...

და მოიპოვა გამარჯვება მართლაც უკვდავი.

და ზოგიერთი მოხალისე ამაოდ ფიქრობს, რომ საქართველო დაივიწყებს ოდესმე დიდგორს!

ო, საქართველოვ, დიდგორის ომში ხელახლა იშვი, როგორც ფენიქსი, გადაღებული დავითის დროშით გმირობისათვის, აღმაფრენისთვის.

დიდი გამოცდა მოგვიწყო ომმა, შემოგვესია ურიცხვი მტერი... იყო ჯვარცმა და იყო აღდგომა. დიდგორმა იხსნა ქართველი ერი.

დიოდნენ დღენი კენტი და ლუწი და არსად იყო შენი ბადალი, გადაჭიმული ყოფილხარ უწინ ნიკოპსიიდან დარუბანდამდის.

მზერას ახარებ შენი მშვენიებით და მიხარია თვალის გახელა, სამშობლოვ, დავით აღმაშენებლის, შენ საქართველო გქვია სახელად.

მაცნიაჩების შესახებ

(გამომხატველი გიორგი სოსიაშვილის წიგნზე „სამაჩაბლოს ისტორია. შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიის ისტორიული რეპრეზენტაცია (დიდი ლიახვის ხეობა)“ (ქართულ და ინგლისურ ენებზე), თბილისი, 2021.)

დღეისათვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის ცხინვალის რეგიონში, ქართველი მოსახლეობისაგან დაცლილია. კრემლის მიერ მართული ადგილობრივი საოკუპაციო რეჟიმი ყველაფერს აკეთებს, რათა ამ მინა-წყვილად ქართული ისტორიულ-კულტურული კვალი მთლიანად აღმოფხვრას. გრძელდება ქართული ტოპონიმების ოსურად ტრანსფორმირების პროცესი. უპატრონობის, დაუდევარი მოპყრობისა თუ ბუნებრივი ზემოქმედების გამო საფრთხეშია აქ მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებიც.

ასეთ ვითარებაში, მისასალმებელია რომ სახელმწიფომ გამონახა გარკვეული სახსრები, რომლებიც მიმართულია საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების, ასევე, ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტებისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების დასაფინანსებლად. თანხებს საგრანტო კონკურსების საფუძველზე შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი განკარგავს.

2021 წელს გამოიცა მსგავს კონკურსში გამარჯვებული პროექტით შექმნილი სექტლ-ანიანი მონოგრაფია „სამაჩაბლოს ისტორია შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიის ისტორიული რეპრეზენტაცია (დიდი ლიახვის ხეობა)“. მისი ავტორი, თვალსაჩინო მკვლევარი, ისტორიკოსი და მწერალი გიორგი სოსიაშვილია. იგი ამ კუთხის შვილია და დიდი ხანია იკვლევს რეგიონისწარსულის კარდინალურ პრობლემებს.

ნიგნი მრავალხანის ნაშრომი, აერთიანებს დიდი ლიახვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის, სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების, პოლიტიკური თუ ეთნიკური ისტორიისა და კულტურულ მემკვიდრეობის მნიშვნელოვან საკითხებს.

ლიახვი ისტორიული შიდა ქართლის ცენტრალური ხეობაა და უმთავრესად მის მთიან ზოლს მოიცავს. აქ ქართველთა ცხოვრების კვალი ენეოლით-ბრინჯაოს პერიოდიდან ჩანს და დღემდე უწყვეტად გრძელდება. ვახუშტი ბატონიშვილის დაკვირვებით, „რომელნი ველნი ირწყვიან ლიახვითა, პური მისი არს ყოველთა ქართლისათა უმჯობესი, და გემოიანი და სუტაკი“. ეკონომიკურ მნიშვნელობასთან ერთად, ლიახვის ხეობა თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობითაც გამოირჩეული იყო საქართველოს ისტორიაში.

შუა საუკუნეებში შიდა ქართლში რამდენიმე სათავადო-სენიორია არსებობდა (ტბელთა ფეოდალური სახლი, ქსნის საერისთავო, ფავლენიშვილების, ამილახვრების, ხერხეულიძეების სათავადოები და სხვ.). მათ შორის უფრო ცნობილი სამაჩაბლო იყო. XV საუკუნის I ნახევარში ჩამოყალიბებულ მაჩაბელთა, ამ, „თავინებულ თავადათ“ სამფლობელოს-შემადგენლობაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში შედიოდა დიდი ლიახვის ხეობა. სამაჩაბლოს ნაწილს შეადგენდა ასევე ისტორიული დვალეთი. მაჩაბლებს მრავალი „მკვიდრი“, „ნასყიდი“, „ნანყალობევი“ გლეხი, რამდენიმეეჭარი და აზნაურიც ყმობდა (1818 წლის აღწერის მიხედვით, მათ საკუთრებაში 60 სოფელი მოითვლებოდა).

გიორგი სოსიაშვილის ნიგნის ქრონოლოგიური ჩარჩო ვრცელია, იგი უძველესი დროიდან იწყება და საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1922 წელს უკანონო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნით მთავრდება. ნაშრომში შესწავლილია სამაჩაბლოს მოსახლეობის ეთნიკური და სოციალური სურათი

ასწლეულთა გასწვრივ, გამოკვლეულია სათავადოს ჩამოყალიბება და დადგენილია მისი გეოგრაფიული არეალი, აღწერილია დიდი ლიახვის ხეობის პოლიტიკური თავგადასავალი და ეკონომიკური განვითარება XIII საუკუნიდან მოყოლებული XVIII ს. პირველი მეოთხედის ჩათვლით.

ნიგნის რამდენიმე პარაგრაფი ხეობის იმ სოფელთა შესახებ მოგვითხრობს, რომლებიც საზღვარგარეთ არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების საკუთრებას შეადგენდნენ. გარკვეულია, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მამული ჰქონდა სოფელ ნიქოზში, მაცხოვრის წმინდა საფლავს ყმები და ნაკვეთებიეკუთვნოდა სოფელ ხეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, სინას წმ. ეკატერინეს მონასტერი მამულს ფლობდა სოფელ მეღვრეკისში, პეტრინონის მონასტრის სამფლობელო იყო მამული სოფელ ერგნეთში და სხვ.


საგულისხმოა პარაგრაფი, რომელიც სამაჩაბლოში ქართულ-ოსური ურთიერთობების წარმოჩენას ეძღვნება. აღნიშნულია, რომ ჩრდილოეთ კავკასიიდან ოსების ჩამოსახლება დიდი ლიახვის ხეობაში XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. ოსთა ახალშენები უმეტესწილად მთიან ზოლში გაჩნდა. XVIII საუკუნის შუახანებისათვის ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების მკვიდრი მოსახლეობა ქართველები იყვნენ. მათთან ერთად ცხოვრობდნენ სომხები და ებრაელები. ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული ოსები იმ დროისათვის მხოლოდ დიდი ლიახვის ხეობის ზემო წელის სოფლებში, ქართველების მიერ დაცარიელებულ ადგილებში ცხოვრობდნენ და ისიც არა კომპაქტურად, არამედ ფრაგმენტურად. ოსთა რიცხვი შიდა ქართლში საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების შემდგომ გაიზარდა (XIX საუკუნის განმავლობაში ოსურმა მოსახლეობა 31,5 ათასიდან 85 ათასს მიაღწია). ქართველებისა და ოსთა თანაცხოვრების ისტორიულად ძირითად მშვიდობიან ხასიათს ატარებდა, თუმცა აღნიშნებოდა და შეტაკებებიც. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩამოსახლებული ოსების დაპირისპირებას ადგილობრივ ქართველ მოსახლეობასთან არ ჰქონია ეთნიკური საფუძველი და იგი უმეტესწილად სოციალური შინაარსისა იყო.

ნიგნი დაფუძნებულია მრავალრიცხოვან პირველწყაროებზე, რომლებიც ავტორმა წლების განმავლობაში საქართველოს სიძველეთსაცავებში მოიძია. მათ შორის უხვადაა წარმოდგენილი საარქივო და სხვა სახის მასალა, რომელიც აქამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა და სამეცნიერო მიმოქცევაში გიორგი სოსიაშვილს შემოაქვს. ნაშრომს არ ახლავს ცალკე ისტორიოგრაფიული მიმოხილვა, თუმცა მისი ტექსტი და სქოლიოთა სიმრავლე გვარწმუნებს, რომ ნიგნში გამოყენებული და კრიტიკულადაა გააზრებული პრობლემის ირგვლივ არსებული, როგორცინა თაობების, ისე თანამედროვე ავტორთა ყველა საყურადღებო უბნისა. ნაშრომი არაერთ სამეცნიერო სიახლეს შეიცავს და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საქართველოს რეგიონების ისტორიის კვლევაში.

აღნიშვნის ღირსია ნიგნში დანართის სახით შეტანილი დიდი ლიახვის ხეობის სიძველეები, ლაპიდარული ნარჩენები და ფოტოსურათები, რომლებიც ნაშრომს უფრო შინაარსიანს და საინტერესოს ხდის. როგორც თანამედროვე სამეცნიერო გამოცემას შეეფერება, ნიგნს ერთვის პირთა, გეოგრაფიული და ეთნიკური საძიებლები.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გიორგი სოსიაშვილის ორენოვანი მონოგრაფიის სახით ქართულ ისტორიოგრაფიას კიდევ ერთი საფუძვლიანი გამოკვლევა შეემატა. ნიგნი სპეციალისტთა გარდა, ისტორიის მასწავლებლებს, პოლიტიკოსებს, სტუდენტებს და ფართო საზოგადოებასაც დააინტერესებს, მისი ინგლისური თარგმანი კი საქართველოს ამ ძირძველ კუთხეს უცხოელ მკითხველსაც გააცნობს.

ოთარ ჯანელიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი



მონოგრაფია ძირძველი ქართული რეგიონის შესახებ (რეცენზია გიორგი სოსიაშვილის წიგნზე „სამაჩაბლოს ისტორია“)

დიდ ქართველ მწერალ მიხეილ ჯავახიშვილს, რომელმაც ყმანცილობისა და ახალგაზრდობის წლები რუსეთსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში გაატარა, საქართველოში დაბრუნებისას მშობლიური ენა ფაქტობრივად დაიწყო დაიწყო დაიწყო. მას ახლობლებმა უჩიეს, რომ წასულიყო შიდა ქართლის მთიანეთში, კერძოდ სამაჩაბლოში, სადაც სანიმუშო, თავანკარა ქართულით მეტყველებდნენ.

მიხეილი კარგა ხანს დარჩა სამაჩაბლოში, სადაც მშობლიური ენის მშენიერება ხელმეორედ შეიგრძნო და არა მხოლოდ აღიდგინა ბავშვობაში შეთვისებული ქართული, არამედ ის კიდევ უფრო გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა.

ბუნებრივია, რომ ასეთი ძირძველი და მნიშვნელოვანი ქართული რეგიონის ისტორიის მონოგრაფიული შესწავლა ძალიან საჭირო და სასარგებლო საქმეს წარმოადგენს. პრობლემას აქტუალობას მატებს ის სამწუხარო ფაქტი, რომ ამჟამად, სამაჩაბლო, შიდა ქართლის მთიანეთის სხვა ნაწილებთან და აფხაზეთთან ერთად, ჩამოცილებულია დედასამშობლოს და ოკუპაციის პირობებში იმყოფება.

აქედან გამომდინარე, უაღრესად მისასალმებელია, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ნიგნად გამოიცა მონოგრაფია „სამაჩაბლოს ისტორია“ მისი ავტორია ცნობილი ისტორიკოსი და მწერალი, პროფესორი გიორგი სოსიაშვილი, რომლის მრავალმხრივ მოღვაწეობასაც ქართული საზოგადოებმა კარგად იცნობს.

გიორგი სოსიაშვილის აღნიშნულ მონოგრაფიაზე ჩვენი გამოხმაურება გვინდა დავიწყოთ ილია ჭავჭავაძის ცნობილი შეგონებით: „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავისდასაუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს...“

დიდი მოძღვრის ეს ფრაზა დღეისათვის ჩვენთვის განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც უცხო ქვეყნის მიერ ოკუპირებულ საქართველოს მეხუთედ ნაწილზე მიზანიმიმართულად მიმდინარეობს ძირძველ ქართულ ტერიტორიებზე ყოველგვარი ქართული კვალის ნაშლა, ქვეყანა სანიმუშოა, „გამოუცხადებელ“ ომშია ჩაბმული და მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშეა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ოკუპირებული და საოკუპაციო ხაზთან არსებული ტერიტორიების კვლევა არა მარტო აუცილებელი, არამედ, საჭირო და გადაუდებელი საქმეა.

ძალზე მნიშვნელოვანი, ღირებული და მისასალმებელია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ინიციატივა, საქართველოს ოკუპირებული და საოკუპაციო ხაზთან არსებული ტერიტორიების კვლევის დაფინანსების თვალსაზრისით. „სამაჩაბლოს ისტორია“ სწორედ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებითაა

(„შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიის ისტორიული რეპრეზენტაცია (დიდი ლიახვის ხეობა, გრანტი - N OTG - I - 19 - 747)“ გამოცემული. პროექტის ხელმძღვანელი თავად ნიგნის ავტორი გიორგი სოსიაშვილი გახლავთ, კოორდინატორი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე მღებრიშვილი, ხოლო მკვლევარი - ისტორიის დოქტორი იოსებ ალიმბარაშვილი. ნიგნის რედაქტორია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი, ხოლო რეცენზენტი - ამ რეცენზიის ავტორი. ნიგნის თარგმანი შესრულებულია ზურაბ ზურაბაშვილის მიერ.

„სამაჩაბლოს ისტორია“ ფაქტობრივად ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომია და მკითხველს სრულფასოვან ინფორმაციას აწვდის დიდი ლიახვის ხეობისა და სამაჩაბლოს, როგორც სათავადოს, ისტორიული გეოგრაფიის, პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიის, მოსახლეობის, მატერიალური ძეგლების და სხვა არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე.

ბუნებრივია, მონოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ქართულ-ოსურ ურთიერთობებს. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი თავად საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს ცხოვრობს, ნიგნი არ არის „ცხელ გულზე“ და ნიშნის მოგებით დანერვილი. მის თითოეულ გვერდზე იგრძნობა პროფესიონალიზმი და მეცნიერული კეთილსინდისიერება. ავტორის ნებისმიერი თვალსაზრისი, არგუმენტი, დასკვნა თუ შეფასება ანონიმულ-დანონიმულ, გააზრებული და სათანადო წყაროებითაა გამყარებული.

ნიგნს ღირსებას სძენს დანართის სახით დართული დიდი ლიახვის ხეობის სიძველეების, საკულტო და საფორტიფიკაციო ნაგებობებისა და იქ არსებული ლაპიდარული და ფრესკული ნარჩენების ანოტაციები, ფოტოები, ნაშრომში გამოყენებული სამოხელეო თანამდებობებისა და ძველი ზომი-წონის ეროვნული და ეთნიკური საძიებლები და სხვ.

შთაბეჭდავია დამონებული საარქივო დოკუმენტების, წყაროებისა და ლიტერატურის ნუსხა, რომელიც, საარქივო დოკუმენტების გარეშე 361 ერთეულს შეადგენს.

ნიგნი დაწერილია გამართული, ლიტერატურული ქართულით და შეუწინაღებელი ინტერესით იკითხება.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ნიგნი ორენოვანია (ქართულ-ინგლისური) და მხოლოდ ქართულენოვანი მკითხველისათვის არ არის გათვლილი.

ლოგიკურია, რომ ნაშრომმა უკვე მოიპოვა აღიარება და გამოხმაურება აკადემიურ წრეებსა და საზოგადოებაში. მის პრეზენტაციას გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ესწრებოდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ბატონი მიხეილ ჩხენკელი, მინისტრის მოადგილე ქალბატონი ნუნუ მიცკევიჩი, რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის თავმჯდომარე ბატონი ჯაბა სამუშია, სახელმწიფო რწმუნებული შიდა ქართლში ბატონი ვალერიან მჭედლიძე, მეცნიერები, სამუზეუმი გაერთიანებთა ხელმძღვანელები, საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები, სტუდენტები.

„სამაჩაბლოს ისტორია“ შედგება შესავლის, 4 თავის, 21 ქვეთავის, დანართისა და მთლიანობაში 662 გვერდს წარმოადგენს.

პირველ თავში განხილულია დიდი ლიახვის ხეობის ისტორიული გეოგრაფია, ჰავა, ბუნებრივი ნიაღვრები, არქეოლოგია, გზები. მოცემულია სამაჩაბლოს, როგორც სათავადოს საზღვრების ლოკალიზაცია, ურთიერთობა მეზობელ სათავადოებთან, უძველესი ქართული ტოპონიმების, ჰიდრონიმებისა და ოიკონიმების გადაკეთების მცდელობები და ფაქტები.

პირველი თავის მეორე ქვეთავი „ტბელთა ფეოდალური საგვარეულო და დიდი ლიახვის ხეობა“, აღნიშნული საგვარეულოს გაგენასა და ძლიერებაზე მოგვითხრობს. ფართო ანალიზი მოცემული ერევვის 906-914 წლების, დოდოთის, ბორცვისჯვრის, ტბეთის ნარჩენების. დადგენილია საფეოდალოს საზღვრები, ტბელთა გენეალოგია, მათი დამოკიდებულება და ურთიერთობა აფხაზეთის სამეფო კართან და სხვ.

ალეკო ბელთაძე

რუსთაველის კვიანავაში

ახალ ათონს, ძველ მადათოვს,
ვინც კი ახელს, თვალს ფართოდ,
გადაქცეულს ქართველების,
დაუნდობელ საჯალათოდ,
განზე მდგომს თუ, მქონეს ხომის,
ადევს უცხო კრემისფერი,
არც მახვილი ყავს საფიხვონში,
არც თეთრწვერა ხევისბერი.
შიშველ ტანზე, სახრეს ვიმტვრევ,
მსცოვანს დევნის ტლუ და ნორჩი,
ვაი, ჩემო ოჩოპინტრე,
უი, ჩემო ოჩოკოჩი.
ყველა მქისე, თავს ხსნის ქისებს,
ყველა ბერნი, ჩვენთან მაკობს,
ჩვენთან ხდება, ყრუ რომ გისმენს,
და მუნჯები ლაპარაკობს.
ყველა მეფეს, მეფისნაცვალს,
ქათოდ რომ ფქვავს, ფეტვის მარცვალს,
ვიცი ხვალაც, დედის ნაცვლად,
დაიფიცებს დედინაცვალს.
ნება-ნება გამიშვლება,
ღირსეულსაც აღარ არცხვენს,
ერთმანეთი არ ელევა,
აღმა მხვენელს და დაღმა მფარცხველს.
უფრო მზარავს, არ გვიფარავს,
უფლის კალთა კიდით-კიდე,
ჭირი ჭირსა მოგვესართა,
ამდენ გიჟის გადამკიდეს.
აღარც თოფი, აღარც რაში,
მკაში, ხვნაში, დარ-ავდარში,
ნაღმართი არ დაგვრჩა ვინმე,
რუსთაველის ქვეყანაში.

ერთ ლექსს ვნატრობ

იმდაგვარ ლექსს ვნატრობ ამ დროს,
ჯიქეთიდან მისწვდეს ყადორს.
ქედ-დადრეკით ლაღადისმა,
მსმენელს ყელი გამოლადროს.
ხათრი დამდოს,
არ დამაგდოს,
სახნისივით ძველ ლაფაროს,
გარდასული წლების ხსოვნა,
ნაბადივით დამაფაროს.
ცრემლის მხოცველ-
მრევლს და მლოცველს,
ნამიქცევდეს ჭიქა ღვინოს,
ამილახვრის ციხე მომცეს,
მოურავად დამადგინოს.
ლოცვა საროსს...
არ მაკმაროს,
ნახემსება ღოღო-ღვალოს,
გამოკეტილ ძველ ჭიმკართან,
ხარ-ხბოსავით ამბლავლოს.
ჩეროს... მდელოს...
მომაფეროს-
აქით მამფალს, იქით კინტოს,
დადუმებულ სამრეკლოზე,
დედო ზარი დამიკიდოს.
ვინაც ფლიდობს...
განმარიდოს-
ვინც საკუთარს აღარ ინდობს,
აღგეთს დაზრდილ, მგლების ლეკვებს,
ახსენებდეს: ლლიღვს და დიდოს...

უცხოს!...
თაფლად არ წაუცხოს,
სილამაზე შატილ-მუცოს,
გელათი და მცხეთა ერთად,
ფსალმუნით გადაფურცლოს
ვხვენში...
მივალ ანი ხნეში.
აღარ ვგუობ სხვა განაჩენს,
ერთ ლექსს ვნატრობ სიცოცხლეში,
სიკვდილშიც რომ გადამარჩენს.

პაითან თვალთ

ივრის ზემონელს ერნოა,
ლომის იფიცებს მთიული,
სიცოცხლე-ერთი ბენოა,
სიკვდილი-მარადიული.
ლიბო თუ ჩამოშლილია,
ფასიც არა აქვს კუნელის,
ლამაზი-წლების შვილია,
მახინჯი-საუკუნენის.
საბედილბალო მარწუხებს,
როდი ბოჭავდა იდეა-
მაღალს რა შიშიც აწუხებს,
დაბალს სულ ფეხზე ჰკიდია.
ქება-ძრახვების პირმდენი,
ვერც სტრიქონიდან მოვკვეთე,
ბრძენს რაც მტერი ჰყავს იმდენი,
სულელს აკვრია მოკეთედ.
დაცემული აქვს თავზარი,
მახათას მთას და ელიას,
თუ მაძღრისაა ტაძარი,
მშიერის-ცივი კელია.
ეცადოს, როგორ ამოთხრის,
ჯოჯობით ამონახველი,
არარსებული სამოთხის,
არარსებული მნახველი.
არადა, ვით ვთქვა ფლიდია,
ორთავეს ჭირისუფალი,
როცა ერთ გზაზე მიდიან,
ემშაკიცა და უფალი.

მარტოობა-სვინისი და კართაგენი

ყოფნაც გასხლული ვაზის ლერწია,
მიტკლის ნათელში, მთები სახლობენ,
ვაი, რა ცუდ დროს წამომენია,
შენთან სიშორე და სიახლოვე.
ვივსებ ფიალებს პირგამეხებით,
და რომ მგონია, ჩიტი მზუნვია,
ლამე! რომელსაც ხელით ვეხები,
თურმე ცოცხალი დათვის ბენვია.
სულ ნაკუნ-ნაკუნ დავერიგები,
გრძნობებს, შენსავით მეც რომ მახმობენ,
ღრიჭო კარებში სევდის რიგები,
სულის ხრიოკებს დაბალახობენ.
აღარ მოველი ანი ძველ ალერსს,
დაკიდებია დუმილს ზარები,
და მარტოობას- ჩემს ძველ კავალერს,
ხელს ჩავკიდებ და გავემართები,
იქ სადაც ყოფნა უყვართ კესანებს,
სადაც არ ახლავს, გულს და გზას ხინჯი,
სადაც წყვილებში არ დგას მესამე,
არც ანგელოსი და არც მახინჯი.
სად ვერ მოქსელავს ბადეს ობობა,
არ იდობრდება შხამით ბაგენი
და ერთდროულად ეს მარტოობა--;
ხან სფინქსია და ხან კართაგენი.

მალხაზ კვანჭილაშვილი

წყალი და ქვიშა
(ბებერი ემიგრანტის დღიურებიდან)

ჩემს თაობას ვუძღვნი ამ რვეულს
- ოდეს ინებო, მეუფეო, მოქცევა ზღვათა
და წყალთა ზედა ბორგავდეს ქარი,
ამ ძველ კიდობანს სავესს სსოვნით და
მოლოდინით
ნუ გასწირავ დასალუპავად!
- ოდეს ქვეყანას, მეუფეო, ნათლავდე
ცეცხლით,
ხოლო ხანძარი ქალაქებს ხრავდეს,
ამ ძველ მაყვლოვანს, მსხმოიარეს
ორგვარ ნაყოფით,
ნუ გასწირავ დასალუპავად!

ვინინდო განბანია

ღუბტი ქოროს თანსლებით

- გვიამბე, ჩანგო, რაც ერთხელ მოხდა,
როდესაც თიხას ჩაუდგეს სული,
როცა კოცონი დაუნთეს ქობთან,
როცა მინდორში გაუვლეს ხნული,
ასწავლეს, როგორ მოჰფანტოს თესლი,
როგორ ეფეროს მინას აყალოს,
ვით გამოაწრთოს ლითონი ცეცხლით,
ნადირს ისარი როგორ ახალოს,
როგორ გაიგნოს გზა ვარსკვლავებით
და კაეშანიც ვარსკვლავებს ანდოს,
რომ გილგამეშის ასცდეს ვაებას...
- ამ ყველაფერზე გვიამბე, ჩანგო!
გვიამბე ისიც, დესპანი მწუხრის
ცოდნის ნატამალს რა ფასად გვრუქნის,
როცა დაბეჭდულ კლიტეებს ამტვრევს
და მეგზურობას სთავაზობს დანტეს;
ან მოციქული ვით ჩნდება სულ სხვა,
ვინც მატერიის საცეცით გვწუხსხავს
და ნივთის ფლობის ჟინით გვახელებს
გაბნეულ განძის ვერდამნახველებს
მაღე დინებას გაჰკვეთენ ორად -
შემაჯახებენ ზღვისპირა კუნძულს,
წყალს, ქვიშანარევს, სათავის მგლოვარს,
ზღვის სიახლოვით მდორეს და უძღურს.
მღვრიე ნაკადი ჩაიყოლებს ზღვაში
საყვირებს,
ჩანგი კუნძულზე სუფთა შტოდან
გაინაპირებს.

როცა უკბილო ბერიკაცი ნაყროვანს
კიცხავს,
ხოლო ცვედანი სიყვარულის სახმილს
უარობს,
ცოდვილთა ბედზე გატაცებით
მსჯელობენ დიდხანს -
სიბერნეს თვისას აფარებენ სიტყვის
ვუალებს...
შერეკილები იჯერებენ მერე მაგ
სიტყვებს,
პოეტის გზებით ავრცელებენ ეჭვის
სამსალას...
რად მინდა ლექსი, თუ კოდექსის ვერ
გასცდა სიბრტყეს,
ანყვეტილ ვნებით გახელება თუ არ
მაცალა?...
დანანწლებდნენ ოდითგანვე მცირე
დასტებად,
რათა ამ ქვეყნად მონადირის ჟინი
ჩაეკლათ, -
ეგ მოდგმა დღესაც ძველ პეიზაჟს
ხატავს პასტელით,
უფრთხის საღებავს, ნეონების შუქის
ამრეკლავს.

- გლოვის კედელთან ნუ მიგულებთ
ცრემლების მღვრელად,
არ მსურს ვიცოდე რა სტანჯავდა
შუმერს და ბერძენს...
მგლების ხროვაში მივძუნძულებ
თავადაც მგელი, -
გაშლილ ტრამალზე ქანცვალეულ
საკბილოს ვეძებ!
...ესაა ოლონდ, როცა ხროვა შერეკილს
ესხმის,
მონებს ჰგონიათ, სათავისოდ დამგემეს
ვერცხლით.

ქორო („კილო შუა-გაზრისა“):

ძნელი არის შეგნებული მოქალაქის
ცდუნება, -
საფიქრალი მწირად აქვს და საზრუნავი
- ულევად;
წესი, დადგენილის დარი, მას სხვა არ
ეგულება;
რაკი ჩანვდა კაცის ნატვრას და
სურვილთა ბუნებას;
მძლავრი ვინმე იბელადოს და
პატრონად დაისვას,
მოსაპარი მოიპაროს, კაი ჭამოს,
კაი სვას,
წელს „ნოლმესტი“ იგრიალოს,
„ოცდაოთხით“ - გაისად,
„პიცუნდაში“ მიუჩოჩდეს „კასიჩკიან“
რაისას
(ან: წელს „ფორდით“ იგრიალოს,
„მერსედესით“ - გაისად,
პიგალიდან ქალი მოხსნას შესაბამის
„პრაისად“)...
- არ ეგების მარგალიტით ღორის
კოლტის ცდუნება,
ჩვენ, ცოცხალ-მ კვდრებს,
გვეკრძალებს მკვდრების
შემობრუნება,-
არა - ფორმა, მთავარია ჭურჭლის
დანიშნულება,
ვერც ცვლის ურნის დიზაინი ნარჩენების
ბუნებას.

ტრიპტიქი № 1 - ცინიდან გაქცევა
(დედლიანი 09.04.91)
დილაგი

აქ და ამჟამად მესიზმრება, რომ აქ და აქვე
სიზმარეულმა ცხადი სიზმრად ვიხილე
თითქოს:
აქ და ამჟამად...
ასე შემდეგ...
და ასე თავქვე...
გალვიძება კი უსასრულო აღმასვლას
ითხოვს,
მაგრამ სანთელიც იღვენთება იკარის
ფრთებად,
ბორგეულისთვის, ვნებიანად ვინც
ზეცას ელტვის:
დღე იბადება, დღე ინთება და ისე
კვდება, -
განმეორებას თან არ მოაქვს მშვიდობა
შენთვის...
მირაჟებს უნდა ისახავდე საკანში
მიზნად,
ვიდრე განთიადს გაუტყდები ლამენათევი,
რომ ოდენ ხსოვნა-მოლოდინის
იცვლება მიჯნა, -
განაჩენით უძრავია სხვა ყველაფერი.
ოცდაცამეტი საფეხური თოკის კიბეზე
ანთებ ჩირაღდანს... უცვლელია ფასი
ლალატის:
ბანაკს ნახანძრალს ყორნებისგან
ველარ იცავდე,
განშორდეს ცისფერს სული შენი ან და
მარადის,
დონდლო სხეულად ჩაღვენთილი
დედამინამდე.

მურმან თავდიშვილი

კაჭიჭი

ეროვნულ ნიადაგზე შექმნილ სიტყვათა მარაგი არც ისე დიდია. ამ მხრივ ყოველ ლექსემას სჭირდება ზრუნვა და მოფრთხილება. უაღრესად საჭიროა მათი გენეზისის დადგენა, კულტურულ ფორმად დაღვინებისა და ჩამოყალიბების ისტორიის გარკვევა. ყოველივე ამას ეროვნულ-კულტურული ღირებულება აქვს.

ნაირფეროვანია საქართველოს საღვინე ვაზის კულტურული ჯიშები. „კოლხეთის კერის ტიპობრივი წარმომადგენელია“ შავყურძინიანი საღვინე ვენახი კაჭიჭი. უმეტესად იგი გვხვდება გურია-სამეგრელოსა და აფხაზეთში. მისგან მომჟავო არომატული შავი ღვინო დგება. ყურძნის ქამის დროს ადამიანს სპეციფიკური სიმჟავის გამო ბაგეები სასიამოვნოდ ენვის. ამგვარი ეფექტი არ აქვს არც ერთი სახეობის ყურძენს. ვენახის ეგ სახეობა იტანს და კარგად უძლებს შავი ზღვისპირეთის ამინდის კაპრიზებს (სწრაფი გადასვლა პაპანაქებიდან დაბალ ტემპერატურაზე). იგი არც დიდ შრომა-გარჯას მოითხოვს. მწერალი ადამ ბოლდუელი მას გურიის ერთგვარ სიმბოლოდაც კი წარმოგვიდგენს.

ერთობ საინტერესოა ამ სიტყვის წარმოშობისა და ჩამოყალიბების ამბავი. აღნაგობით იგი ძალიანა ჰგავს კარგად ცნობილ და გავრცელებულ რამდენიმე სიტყვას. საძიებელი ცნების კვლევა სწორედ ამ სიტყვების მონაცემთა გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ეს ფორმებია: რქანიტელი, ჭიქა, ქარახსი, კაჭიჭი. ჩვენი აზრით, ყოველ ამ ფორმაში ზოგჯერ ამჟამად, ზოგან ფარულად იკითხება რქა.

კომპოზიტი „რქანიტელი“ თავის თავზე მჭევრმეტყველურად ღაღადებს. ამ ჯიშის ვაზს აქვს წითელი ყუნწი, ანუ რქა. რთული სიტყვის აგებისას გამოყენებულია ჩვეულებრივი სიტყვანარმოებითი წესი: ჯერ საგანია ნახსენები (რქა), შემდეგ – მისი თვისება. ამ ტიპის წარმოება მეტად გავრცელებულია (მამა ბატონი, ასლან ბეგი...). თუ რომელიმე უცხოური ენიდან არ მოდის, მაშინ ამ ტიპში შემოვა ლექსემა ქარახსი, იგივე „რქა-რახსი“. აქაც წინ დგას საგანი, მისი განმარტება-დაზუსტება კი უკანა პლანზე გადადის.

სწორედ ამ ტიპის წარმოებად უნდა მივიჩნიოთ კაჭიჭი, რომელშიც „კა“, როგორც ჩანს, ნაშთია სიტყვისა „რქა“.

მაშ, ასე: „რქა-ჭიჭი“, ოღონდ რასა ნიშნავს „ჭიჭი“?

ჯერ კიდევ 1970-იან წლებში პროფესორმა გ. როგავამ გაარკვია გენეზისი ლექსემისა „ჭიქა“. მისი მოსაზრებით, „ჭიქა“ შედგება ორი ნაწილისაგან – „ჭი“ და „ქა“. „ჭი“ მეგრულში ახლაც ნიშნავს პატარას („ჭიჭე“). სამაგიეროდ უცნობია „ქა“, მაგრამ გვაქვს „რქა“, რომელიც, როგორც ჩანს, უწინ იმავე ყანწის მნიშვნელობით იხმარებოდა. მართლაც, რქის სასმისები უნდა ყოფილიყო გამოყენებული იმ უძველეს პერიოდში, როცა მინის ან თიხის ჭიქები ჯერ კიდევ არ არსებობდა, ანდა რქის სასმისებთან შედარებით არაპრაქტიკული იყო.

ამრიგად, ჭიქა გამოდის შენაერთი ორი სიტყვისა ჭიჭე და რქა.

აქ უკვე წარმოება-თხზვის სხვა მექანიზმია მომარჯვებელი: ჯერ გამოყენებულია განსაზღვრება, მერე – საზღვრული: პატარა რქა. საგულისხმოა ისიც, რომ, თუ რქანიტელში ორივე სიტყვა ქართულია, ჭიქა ლექსემაში ჭიჭე მეგრულია.

ენობრივი თვალთახედვით, კაჭიჭი სწორედ ამგვარად ნაწარმოებია. მეორე სიტყვა აქაც მეგრულია: ჭიჭე: რქა-ჭიჭე რქა-ჭიჭი ქა-ჭიჭი კაჭიჭი.

ამრიგად, თუ ერთ შემთხვევაში გვეძლევა ჭიჭე-რქა (ჭიქა), მეორეში რიგი შებრუნებულია: რქა-ჭიჭე//რქა-ჭიჭი (კაჭიჭი).

თუ პროფესორ გ. როგავას მოსაზრება ჭიქა ლექსემთან დაკავშირებით მისაღებია, მაშინ მისაღები უნდა იყოს ჩვენი დაკვირვებაც: კაჭიჭი მიღებულია ქართულ-მეგრულ ლექსემათა შეერთებით – რქა+ჭიჭე.

ოღონდ საქმე ამით როდი ამოიწურება. არის კიდევ ერთი პარადიგმული მაგალითი, რომლითაც უთუმცაოდ დასტურდება: კაჭიჭი ნამდვილად მომდინარეობს კომპოზიტიდან რქა + ჭიჭე.

ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას: „კაჭიჭი“ ერთობ რაფინირებული ლიტერატურული ფორმაა და ასე, ამგვარად გურიაში მას არ წარმოთქვამენ. ჩემს სოფელში, ძიმითში, ასევე დედუღეთში, დვაბზუში, სიტყვას ასე (გურულ ყაიდაზე) ახმოვანებენ – კაჭიჭა.

მაშ, დავიხსოვოთ ფორმა კაჭიჭა. იმავე სოფელში ხშირად მსმენია ამგვარივე აგებულების სიტყვა ღვაჭიჭა. დვაბზუ – ძიმითის მეზობელ დასახლებებში მსმენია ცნების სხვაგვარი ფონეტიკური ჟღერადობაც – ყვაჭიჭა.

ორივე ნიშნავს პატარა ბაყაყს. ეჭვი არაა, აქაც გამოიყოფა ორი მდგენელი: ყვა და ჭიჭა.

ჭიჭა რაც არის, უკვე კარგად ვიცით: მეგრული ჭიჭე იგივეა, რაც პატარა, მცირე, კნინი (სხვათა შორის, ამ ჭიჭე ფორმასთან უნდა იყოს დაკავშირებული სიტყვები: წინი, წინია, მონინება, სახელი წინოლა, „ვეფხისტყაოსნის“ მოვანინე...).

ყვა, გინდა ღვა — ნაშთია სიტყვისა მყვარი. „მყვარი“ სულხან-საბას არაერთხელ უხსენებია და აუხსნია კიდევაც. შევიხსენოთ მისი იგავი „იხვი და მყვარი“, ხოლო „სიტყვის კონაში“ იგი ასეა განმარტებული: „მყვარი (მყვარი) – ბაყაყი“.

კომპოზიტი ღვაჭიჭას პირველი მდგენლის ფონეტიკური მეტამორფოზაცხადზე უცხადესია:

მყვარი + ჭიჭე ყვარი + ჭიჭე ყვა + ჭიჭა ღვა + ჭიჭა.

ამრიგად, ღვაჭიჭა და კაჭიჭა სრულიად იდენტურად ჩამოყალიბებული წმინდა ქართული სამეტყველო ერთეულებია. ამ ცნებებს ძალზე კარგად იცნობს დვაბზუ-ძიმით-აკეთ-მამათ-სილაურის მოსახლეობა.

მე საგანგებოდ შევისწავლე გურულში (და არა ოდენ გურულ მეტყველებაში) არსებული ის საგულისხმო კომპოზიტები, რომლის ერთი მდგენელია ბგერათკომპლექსი „ჭიჭე“. ამ შემთხვევაში ოდენობებში გვხვდება ორნაირი წყობა: ა) „ჭიჭე“ მსაზღვრელი უკანა წევრია და ბ) „ჭიჭე“ ზედსართავი წინ უძღვის ფორმას. ჯერ გავსინჯოთ ის

ფორმები, რომლებიც ზედმინევენით იმეორებენ „კაჭიჭა“ კომპოზიტის აღნაგობას — რქა+ჭიჭა.

ზუსტად ამდაგვარი აგებულებისაა კომპოზიტი ქაჩაჩი. ჩვენი აზრით, აქაც გამოიყოფა რქაჭიჭაში არსებული რქა: რქა+ჩაჩი, ხოლო ჩაჩი უნდა იყოს გვიან განვითარებული ფონეტიკური ერთეული სიტყვისა „ჭიჭე“. ყოველ შემთხვევაში, კაჭიჭა ფორმის კა რომ იგივე ქა გახლავთ, სადავო არაა.

ვფიქრობ, იმავე აღნაგობისაა გურულში კარგად ცნობილი ქოჩიჩა (ჩვილი ხბო). აქაც უდავოდ გამოიყოფა ორი სეგმენტი: რქო+ჩიჩა. ეს კომპლექსი, ჩვენი თვალთახედვით, ასეა მიღებული: რქა+ჭიჭე რქო+ჭიჭე რქო+ჩიჩა ქო+ჩიჩა.

ტიპოლოგიურად კაჭიჭა ფორმის მსგავსია გურიაში კარგად ცნობილი კვიჭიჭა. როგორც პროფ. ალ. ლლონტი მიუთითებს, იგი აღნიშნავს პატარა, წვრილ მსხალს, პანტას.

კომპოზიტი ასე განიწვალება: კვი+ჭიჭა.

აღნიშნული აგებულებისაა გურულივე კამაჭიჭე ანდა მისი მეორე ფორმა კამაჭაჭი. ნიშნავს პატარა, გამხდარ, გაღულულ ადამიანს.

მაშ, „ჭიჭე“ აქაც ერთგულად ასრულებს თავის „დამაკნინებელ“ როლს.

გურიაში (და, შესაძლოა, სხვაგანაც) კიჭი ჩვილის, პატარა ბავშვის კბილია. ვგონებ, აქაც გამოიყოფა ჩვენთვის საინტერესო ჭიჭე: კი+ჭი(ჭე). ეჭვი არაა, ამ კომპლექსის ფონეტიკური სახესხვაობაა კიჭიჭი, რაც ნიშნავს პატარა ნატებს, კვანტს. გასაგებია, რომ საწყისი აქაც ეგვა: კი+ჭიჭე.

საერთო ქართული უნდა იყოს ლექსემა კოკოჩინა. აქაც მნიშვნელობა იგივეა: პატარა, კნინი, კობტა. ჩემი ვარაუდით, საწყისი ასე ჟღერდა: კოკო+ჭიჭე.

არსებობს ცნება კოპიჭი — შუბლზე გაჩენილი მცირე კოპი. აქ II კომპონენტი ელიზირებულია: კოპი+ჭი(ჭე). გვაქვს ცნებები: კოროჭი და კროჭი. ორივე აღნიშნავს ხის პატარა ყუთს. საწყისი ფორმა ასე გვესახება: კორო+ჭიჭე. ტრანსფორმაციის პროცესი: კორო+ჭიჭე კორო+ჭი კროჭი.

გურია-აჭარაში ხმარობენ სიტყვას კოჭიჭა. ის აღნიშნავს პატარა ჭურჭელს ან პატარა, ჩია ტანის კაცს. ეჭვი არაა, კომპოზიტი ორსექტორიანია: კო+ჭიჭა. აღნაგობით ამჟამად ჰგავს კა+ჭიჭა ფორმას.

არც ის არის ყურადღების მიღმა დასატოვებელი, რომ გვაქვს კროჭინი — ჩვილი ბავშვის სიცილი.

ქართულ დიალექტებში სარს, მარგის ხშირად ენაცვლება მანა, მაგრამ ასევე გვაქვს მანჭი — გუთნის პატარა ხელმოსაჭიდი, ანუ პატარა მანა. კონსტრუქცია გამჭვირვალეა, როგორც ბროლი: მანა+ჭიჭე მან-ჭი.

ასევე გვექონია ყურჭიტი (ყურჭატა), იგივე ყურპატარა.

ერთობ საგულისხმოა ხინინი (ქეგლ). ვფიქრობთ, მისი აგებულება ისეთივეა, როგორც სიტყვისა კაჭიჭი. აქ მე გამოვიყოფ ორ კომპონენტს: ხის+ჩინი. მართლაც, „ხინინი“ აღნიშნავს ხის წვრილ-წვრილ ტოტებს. თავდაპირველი ფორმის ტრანსფორმაცია ასე წარმოვიდგინოთ: ხის+ჭიჭე ხი+ჭიჭი ხი+ჩინი.

ჩემი ფიქრით, ერთობ საინტერესოა ხოჩიჩი — პატარა ბავშვის აკვანი. საწყის

ის ფორმად გვესახება ხოკერი+ჭიჭე. ფონეტიკური ტრანსფორმაცია: ხოკერი+ჭიჭე ხო+ჭიჭე ხო+ჭიჭი ხოჩიჩი.

ხოკერი არის ხის კანის ანატკრეჩი, რომლითაც ძველი ქართველები ჩვილის ჩასაწვენ აკვან-კალათასა წნავდნენ.

დიალექტებში ხმარობენ სიტყვას კვაჭაჭია, რაცა ნიშნავს პატარას, კნინს. აქაც ამოსავალია მეგრული ჭიჭე//ჭიჭა//ჭაჭი: კვა+ჭაჭია.

ამდენი პარადიგმული მაგალითი უთუმცაოდ ადასტურებს: კაჭიჭი მოდის კომპოზიტიდან რქა+ჭიჭე.

ახლა შევათვალიეროთ ის რთული სიტყვები, რომლებშიც ჭიჭე პრეპოზიციამაა.

ჭიჭყინა ეწოდება წვრილ, პატარა თევზს. ეჭვი არაა, პირველი კომპონენტია ჭიჭე. ამავე ტიპისაა გურიაში ფართოდ გავრცელებული გვარი ჭიჭაყუა. შინაარსით ნიშნავს მცირე, პატარა წყალს (მდინარეს), ანუ ღელეს. განიწვალება ასეგვარად: ჭიჭე+აქუა (მცირე წყალი). შევნიშნავთ: შუა საუკუნეებში უძველესი ხევი (მდინარე) შეცვალა წყალმა, სულ ბოლოს კი — მდინარემ.

ამ ტიპისაა ტოპონიმი ჯურუყვეთი: ჯურუ+აქუა. სამაგიეროდ გვარში აქუბარდია წინ მდებარეობს აქუა (წყალი).

ძალიან საინტერესო სიტყვაა გურული ჩიპუტიე. ასე იტყვიან პატარა ტანის სასაცილო კაცზე: ჩიპუტიე კაცი. გურია-აჭარის ბერ სოფელში ამბობენ ასე: ჩიპოტიე — პატარა, ბავშვივით კაცი. კონსტრუქცია ნათელია: ჭიჭე — პოტიე.

ბევრჯის ჭიჭე ეულად გამოსულა სიტყვიერ სარბიელზე. მაგალითად, ჭიჭალა არის პატარა სასმისი; ჭიჭო აღნიშნავს დაზოგვით, ცოტა-ცოტათი ფულის ხარჯვას; შინაარსით ამასვე ჰგავს მოჭიჭავება (მოჭირნეობა, ანუ რაიმეს ხარჯვა მცირე-მცირე დოზით). აქაც ამოსავალია ჭიჭე. გურულ-მეგრული მოჭაჭიჭავე იგივეა, რაც „ვეფხისტყაოსნის“ ზმნა მოვანინე (მოკრძალებული გავხადე, დავაკნინე, დავაპატარავე). „მოჭიჭავება“ ჩვეულებრივი სიტყვაა აჭარასა და გურიაში.

„ჭ“ თანხმოვანი ქართულის დიალექტებში იოლად გადადის „წ“ და „ჩ“ თანხმოვნებში. ამას განაპირობებს კონტექსტიც. მაგალითად, მე ჭიჭე ბგერათკომპლექსის ლანდსა ვხედავ სიტყვაში განწილაქება. ნიშნავს ცოცხ-ცოცხა დოზით დანაქუცებას, დაყოფას. იგივეა, რაც დანიწილაქება. მივიღეთ ასე: გა+ჭიჭე—ლაქება გა+წინე —ლაქება განწილაქება. მგონია, რომ დანიწილაქება თავისთავად დაედო საფუძვლად ბგერათკომპლექსის დარჩილაქება. ეგ ნიშნავს შემის ღერის წვრილ-წვრილად დაჭრა-დაჩხვას. სავარაუდო საწყისი ასე უნდა წარმოვისახოთ: და+ჭიჭე—ლაქება და+ჭიჭი—ლაქება და+ჩიჩი—ლაქება. მაშ, ჩიჩილაკი მიღებულია კონსტრუქციიდან ჭიჭე—ლაკი. ჩიჩილაკი აღნიშნავს ხის წვრილ-წვრილ ბურბულელებს.

ჩრჩილისაგან ქსოვილის დაჭმას ეწოდება დაჩიჩვა. აქაც საწყისად უნდა წარმოვიდგინოთ და+ჭიჭ+ვა.

დაჩიჩვა მატყლისა იგივეა, რაც დაჩიჩვა. მისი საწყისია და+ჭიჭ+ვა. საზოგადოდ, ჩიჩვა და წენვა ფორმების უძველესი საწყისია ჭიჭ+ვა. ვიმეორებ, „ჩ“ და „წ“ ფონემები მეორეულია.

მზიური აფციაური

სანიტარასო და დამაფიქრებელი ნომერი

(„მწერლის გაზეთის“ 4 (283) 2021-ის გამო)

21 სექტემბერს „მწერლის გაზეთი“ ვიყიდვით. იქვე გადავთავალიერე (სულსწრაფობამ წამძლია) 5 წუთში მთელი პირველი გვერდი ნაკვირვლად და არ ვიცი, სიბრაზისაგან, სინანულისაგან, დარდისაგან თუ შეურაცხყოფისაგან თავი ვერ შევიკავე და აღმომხდა: „კიდევ რით უნდა გაგვწიროთ თქვე უღმერთობო-მეთქი!“ - რა აღექსანდრიის ბიბლიოთეკის არაერთხელ გადნვა, რა პარისის „ღვთისმშობლის ტაძრის გადნვა... და რა ჩვენი ეროვნული სიმდიდრის - მწერალთა, ხელოვანთა და ერის მიერ ნაგროვები, სათუთად და კრძალვით შენახული ეროვნული სიმდიდრის, ამჯერად „მწერალთა სახლის“ ოქროს ფონდის განადგურება-მეთქი.

ეს მომენტი გამახსენდა, როცა მწერალთა კავშირის წერილს ვკითხულობდი საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრის, თეა წულუკიანის მიმართ და უფრო მეტად ამბავდებოდა, თუ „როგორ ირწოდა ხომალდი“ მთელი ჩვენი ეპოქის ამ აღმშენებელ ზღვაში და მოხეტიალმა 9 აპრილის გრივალმა უფრო მეტად შეაკავშირა ქართული სული და საქართველოს დამოუკიდებლობის ბრძოლისათვის იდეალი. ქართველი სული არ დაეცემა, ღმერთი ჩვენთან არს! - მომავალი საქართველოსია!..

მთელ საკაცობრიო ისტორიაში საქართველოს კულტურა პირველმყოფელი განვითარებაა აზია-ევროპის ისტორიას და კულტურასთან ერთად. საქართველო არასდროს დაიკარგება კოსმიურ სამყაროში; მით უმეტეს, როცა ბატონი რევაზის სახით, რომელიც ხმალამონდელი რაინდით იბრძვის მისი ყოველი დროის მტრის გამოჩენაზე და იმ პოეტებისა და მწერლების გვერდით დგომით, რომლებიც დულან საქართველოს დღევანდელი და ამბობენ „ადამიანი იზომება მხოლოდ ზეციდან“, (რომან ზუკაქიშვილი).

მსურს მივულოცო ზაალ ნემსაძეს ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიის მინიჭება ნიგნისათვის „ზეციდან შობილი“, რელიგიურ-დოკუმენტური ესეის მოქმედნი პირნი ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში „უაღრესად წარმატებული ადამიანები ბრძანდებიან, როგორც ქართველთა 90%-ს, ისე ავტორსაც ასეთ პიროვნებად წარმოუდგენია ბატონი ბიძინა ივანიშვილი. მას ავტორი ქვეყნის გადამრჩენელად შერაცხავს. ის ღვთის მოვლენილი ზეციური ნების აღსრულების იარაღად მიუჩნევია მწერალს: „დროა აღასრულო ის, რისთვისაც მოგავლინა უფალმა და ამდენი წყალობა გიბოძა, დროა ალაგმო ის თარეში, რაც ქვეყანაშია... მოყვასისათვის თავის განწირვა გმართებს! - თითქოსდა ასე ჩააგონა და უბრძანა ზეციერმა ამქვეყნიურ პიროვნებას და ისიც მალე იქცა ქვეყნის ლიდერად“ - ამბობს მწერალი მირიან როხაძე.

ასევე ღრმა რელიგიურ კონტექსტშია ჩასმული ყველა ღმერთი ქართველი და ჩვენი სასიქადულო მწერლობის მამა - მეცნიერი, უებრო ნოველისტი, რომანების „ქრისტი“ და „ნამება“-ს ავტორი ნამდვილად „ტკბილმომუხარნი“, ოთხმოცი წლის, მაგრამ კვლავ ახალგაზრდად შემართული ბატონი რევაზ მიშველაძე და მისი ახალი ნიგნი „როგორ ირწოდა ხომალდი“ (მემუარები). მთელი გულით ვულოცავ ბატონ რევაზს ნოველების კრებულის - „იერუსალიმი - თბილისი“ თარგმანის გამოსვლას ივრითულ (ებრაულ) ენაზე, რომლის თარგმანი ებრაელმა მწერალმა იაკობ პაპიაშვილმა შესარულა.

ნამდვილად მისასალმებელია და დასაფასებელია ქართველი ექიმებისა და ექთნების, მთელი მედპერსონალის ბრძოლა პანდემიის წინააღმდეგ.

შემართებითაა ნათქვამი მათი მირიანაშვილის ლექსი: „დროა გათენდეს! დროა გათენდეს!“

აღდგეს უფლება სამართლიანი!...“
მელანქოლია გასდევს თემურ ჭახნაკიას ლექსებს, რაც ამქვეყნიური ცხოვრებით არის გამოწვეული, მაგრამ მოგონება მინც იმედის კვალს ტოვებს:
„მახსოვს მთა, სოფელი, სიცივე, კედელზე ბაბუის კიტელი, უწმინდესი შუქით ციმციმებს, სულში მოგონების კანდელი...“

საინტერესოა და საგულსხმოა ვაჟა-ფშაველას მოტივებზე აგებული ელგუჯა მგელაძის მოთხრობა „ნიფლის წყარო“ - „იაგორის საცივი“ - „წყარო იმასაც წუხდა, რომ წიფელს ნერგი არ დარჩა, რომელიც მის სიცოცხლეს გააგრძელებდა...“

ჩემთვის უდიდეს სიხარულს წარმოადგენს მწერალთა კავშირის აქტიულოგიური შემოქმედებითი ცხოვრება, რომელსაც აერთიანებდა და აერთიანებს კვლავ ღვთისგან ბოძებული ერთგულება, თანამშრომლობა და ურღვევი და უძლეველი ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რწმენა პანდემიის შემოტევის დროსაც კი.

მიყვარს და ბავშვობიდანვე მიყვარდა ქართული სათაყვანებელი მწერლობა, თავისი ნაზი ბავშვური ტიტინით, ახალგაზრდული ლაღი შემართებით, ჭაბუკური გატაცებებით და დაბრძნებული ფიქრებითა და შეგონებებით, გონიერი ბრძოლის უნარით, მსცოვანებაში რომ გვმოდღვრავენ და გზას უხსნიან მორიდებული ოცნებებით მოახლოებულ სინინდებს, პატივს სცემენ მამათა და დედათა გაკვეთილ გზაზე გაყვანისათვის...

მიყვარს იმიტომ, რომ არ ივიწყებს არავის, არც ერთ ღირსეულ სამშობლოსათვის გულშემატკივარ პოეტს თუ მწერალს, მეცნიერს, ღირსეულ პიროვნებას და სათანადოდ აფასებს მათ ღვაწლს, როგორც გამოჩენილ ქართველ მწერალსა და მეცნიერს - ზურაბ გალაქტიონის ძე ჭუმბურიძეს, რომელსაც 95 წელი შეუსრულდა და ხანგრძლივი ლიტერატურული შემოქმედებისათვის დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, ვაჟა ფშაველას და შიო მღვიმელის პრემიებით, წმინდა გიორგის ოქროს ჯვრით, მეც ვუერთდები და ვულოცავ ამგვარ ადამიანს დაბადების დღეს და ვუსურვებს კვლავ დიდხანს სიცოცხლეს და შემოქმედებით წინსვლას.

ასევე 85 წლის ქართველ მწერალსა და მეცნიერს გიგი ხორნაულს ვულოცავ იუბილეს, რომლის „მონადირული სიზმრები“, „ბერმუხა“, „ხუთკუნჭულა“ დიდი სიყვარულით მახსენდება და პატივს ვცემ.

მსურს იუბილე მივულოცო ბატონ თამაზ ხმალაძეს, რომელსაც მე საქართველოს რადიოდან ვიცნობ და კვლავაც წინსვლას ვუსურვებ ნაყოფიერ შემოქმედებაში ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გაზეთმა მსუყვე, მაგრამ მეტად ცრემლიანი ლექსის გადაყლაპვა დააკისრა მკითხველს... ძნელია სამშობლოს გაგუდული ხმით გუგუნის მოსმენა და ქართველს არასდროს უმღერია ამ ხმით. მის ნაზ, მონარნარე დასავლურს და მჭახე აღმოსავლურს ერთი გზა ჰქონდათ და აქვე ყოველთვის გასავლელი და არასდროს დაიხვეწენ, არასდროს დაუცემიან მტრის წინაშე, რომ თავისი „მრავალუმიერით“ - ჰიმნად ქცეული მოძახილით და „შენ ხარ ვენახით“ სამშობლო გამოაკოცხლონ და თუნდაც „ჩაკურთლოთ“ კოსმიური ღვთაებრიობა აჩუქონ...

გაზეთი აქვეყნებს ნაწყვეტს სერგი საჯიას ახალი ნიგნიდან „საფიხვნო ინგირც-მელიდან მუამბოხე საფლავთა სახელით“ - ცნობილი საზოგადო მოღვაწის, დიდებული ქართველი პოეტის, ბრძენი შემოქმედისა და წინგახედული მოაზროვნე, აფხაზეთში ქართული ლიტერატურული სკოლის მაღალ და ანგარიშგასაწევე, დიდი ილიასა და დიდოსტატ კონსტანტინეს ბეჯით მოსწავლის, ზვიად გამსახურდიას ერთგულ ამომრჩევლის, ავდროე ბისაგან გაუბედურებული და მიძიმე ავადმყოფობისაგან გამომხრული - შოთა სოფრომის ძე აკობიას უკანასკნელი დღეების მადლობას ვუხუბი „მწერლის გაზეთის“ რედკოლეგიას ასეთი საინტერესო და გულსხმიერი, ძალზე დამაფიქრებელი მასალების მოძიებისათვის და გამოქვეყნებისათვის.

იაკობ პაპიაშვილი

მის უკვდავსაყოფად ესეც კმარა

1922 წლის ოქტომბერში მოსკოვში ცკ პლენუმზე მიღებული იქნა ლენინის წინადადება უკრაინის, ბელორუსიის და ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკებსა და რუსეთის ფედერაციას შორის ხელშეკრულების დადებაზე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში“ გაერთიანებასთან დაკავშირებით, თითოეული ზემოხსენებული რესპუბლიკის საბჭოთა კავშირიდან თავისუფალი გასვლის პირობით.

ყველაფერი კი იყო სუფთა წყლის ტყეილი, მიმზიდველი მხოლოდ ბრძებისთვის, ისეთებისთვის, როგორებიც იყვნენ ბუდუ მდივანი და ფილიპე მახარაძე. ამ ორმა ქართველმა გაუვალ რკინა-ბეტონში მოაქციეს საქართველო (აქ ჩვენი ინტერესის სფერო მხოლოდ საქართველოა - ი. პ.).

ლენინი და ტროცკი დღესასწაულობდნენ. ისინი დაუპირისპირდნენ და ვეტო დაადეს პროექტს, რომელიც შეიმუშავა სტალინურმა კომისიამ. ეს მოხდა ერთი თვით ადრე, 1922 წლის სექტემბერში, როცა სტალინიმა ცკ-ს წარუდგინა პროექტი საბჭოთა რესპუბლიკების „ავტონომიზაციის“ შესახებ. ეს საკითხი მძაფრი დისკუსიის საგანი გახდა. სტალინი აღმოფრთხილდა იყო. იგი ლენინს მკაცრად შეეკამათა.


„ავტონომია“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს უფლებას სახელმწიფოების (ოლქის) გარკვეული ნაწილის დამოუკიდებლ მართვაზე ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, ავტონომია არის დამოუკიდებლობა.

1972 წელს ფელიქს ჩუევემა, თავის ნათესავ ვიანესლავ მოლოტოვთან საუბრისას, რომელმაც სტალინთან ერთად შეიმუშავა საბჭოთა კავშირის შექმნის გეგმა, ჰკითხა მას ამ სფეროში განუული მუშაობის შესახებ. მოლოტოვმა უპასუხა: „არავინ ერკვეოდა ნაციონალურ საკითხებში ისე, როგორც სტალინი. არავინ ისეთი შორსმჭვრეტელობით არ წყვეტდა ჩვენი ნაციონალური რესპუბლიკების ორგანიზაციულ საკითხებს, როგორც სტალინი“ (აქ ჩამოთვლილია სტალინის რიგი გადაწყვეტილებები საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნაციონალური რესპუბლიკების შექმნასთან დაკავშირებით - ი. პ.).

აზერბაიჯანის და სომხეთის კომუნისტურმა პარტიებმა მხარი დაუჭირეს სტალინურ პროექტს, მაგრამ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1922 წლის 15 სექტემბრის ბიუროს სხდომაზე ამხ. სტალინის თეზისები სენო როგორც არასასურველი პროექტი და საჩივარი გაუგზავნა ამის შესახებ ამხ. ლენინს. სწორედ ამ საჩივრის საფუძველზე, ლენინმა 1922 წლის ოქტომბერში ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე შეიტანა წინადადება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების“ შექმნის შესახებ. ლენინი და ტროცკი იმ პრობლემებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირის და რუსეთის შიგნით ხდებოდა, ნაკლებად ზრუნავდნენ, რადგან ორივე ლიდერი გაცილებით მეტს ფიქრობდა პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებაზე გერმანიაში და მსოფლიოს მასშტაბით.

ამიერკავკასიის სოციალისტურმა ფედერაციულმა საბჭოთა რესპუბლიკამ, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი იარსება 1922 - 1936 წლებში.

იმ შემთხვევაში თუ ქართველი კომუნისტიები ბუდუ მდივანი და ფილიპე მახარაძე არ იჩივლებდნენ ლენინთან სტალინური კომისიის მიერ შემუშავებული პროექტის წინააღმდეგ, ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკა 1922 - 1924 წლებში დაიშლებოდა სამ სუვერენულ ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკად, საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლებით. 1924 წელს საქართველოში არ მოხდებოდა ე. წ. „მეგრეთა აჯანყება“, არ დაიღვრებოდა ქართველების სისხლი და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა შენარჩუნებული იქნებოდა შიგა ავტონომიების გარეშე, სოჭის ოლქის ჩათვლით. სტალინიმა 1917 - 1924 წლებში რუსეთში და საერთოდ საბჭოთა კავშირში დატრიალებული ქოსი და ანარქია შეცვალა სტაბილურობით და კოსნომიური განვითარების პერსპექტივით (საფუძველი: ბორის პასტერნაკის „ექიმი ფივაგო“, იაკობ პაპიაშვილის „ლენინის ქუჩა სტალინის მეგონა მე“ და „ნაპოლეონი“). ლენინისაგან და ტროცკისაგან განსხვავებით სტალინი სახელმწიფოს მოვლა-პატრონობის უნარის მქონე ხელმძღვანელი იყო.



ვაჟა კოშმანაშვილი - 75

75 წლისა შესრულდა მწერალი ვაჟა კოშმანაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო ვაჟა! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები პატივისცემით მოგესალმებიან ქართული სამწერლო ოჯახის ერთ-ერთ თავმდაბალ და ღირსეულ წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების 75-ე წლისთავს.

აღსანიშნავია თქვენი ერთგულება ქართული მწერლობისა, რომელსაც მუხლჩაუხრელად ემსახურებით წინარე საუკუნის 70-იანი წლებიდან.

ქართველი მკითხველი უპირველესად გიცნობთ, როგორც ჩინებულ საბავშვო მწერალს, რომელმაც არაერთი ლექსებისა და ზღაპრების კრებულებით გაახარა პატარები.

ყურადსაღებია თქვენი ლირიკული ლექსები, რომლებშიც სრულად გამჟღავნდა თქვენი პოეტური შესაძლებლობები.

ამავე დროს, არ შეიძლება არ ითქვას თქვენი რომანებისა და მოთხრობების შესახებ, რომლებშიც ქვეყნისათვის საჭირო ბოროტო პრობლემებზე მოგვითხრობთ. სიმართლე, დიდი ადამიანური სიმართლე გამოარჩევს თქვენი დოკუმენტური პროზის ორტიმეულს.

თქვენი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია უკრაინულ, ირანულ, რუსულ ენებზე.

სადაც კი გიმუშავიათ, ყველგან ამყავდა და შეურცხვენლად ატარებდით ქართველი მწერლის საპატიო სახელს. არჩეული იყავით საქართველოს ეროვნული აკადემიის მცხეთის სამხარეო ორგანიზაციის ხელმძღვანელებად და აკადემიის საპატიო წევრად.

თქვენს ჯილდოებს შორის გამოსარჩევია შიო მღვიმელისა და მაცყვალა მრეველიშვილის სახელობის პრემიები, დავით აღმაშენებლის ოქროს მცირე ხატი, დავით აღმაშენებლის პრემიების ყიურის სპეციალური პრემია.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ძვირფას თანამოკალმეს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით წინსვლას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

„სტალინიმა შექმნა საფრანგეთი იმ სახით, რომელიც დღეს არსებობს“, წერს დე გოლი. (საფუძველი: იაკობ პაპიაშვილი, „შთილ გენერალ შარლ დე გოლის ხანგრძლივი სვლაგეზი“).

„სტალინიმა შექმნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა იმ სახით, რომელიც დღეს არსებობს“ (მაო ძედუნი).

სტალინის ძალისხმევით ინდოეთი განთავისუფლდა დიდი ბრიტანეთის კოლონიალური ჩაგვრისაგან.

სტალინიმა შექმნა ისრაელის სახელმწიფო მისი მოსპობიდან 2000 წლის შემდეგ (საფუძველი: იაკობ პაპიაშვილი, „აღსდა ვითარც ფენიქსი თავის ფერფლიდან“).

და ეს არ არის სრული ნუსხა იმ ღვთაებრივი საქმეებისა, რომელიც სტალინურ გენიას ეკუთვნის.



თამარ გაბროშვილი - 60

60 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი თმარ დიმიტრის ასული გაბროშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო თამარ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან ჩინებულ მწერალს, ფიქრითა და სევდით გაჯერებული პოეზიის შემოქმედს და გილოცავენ დაბადების 60 წლისთავს.

ქართულ მწერლობაში 1982 წელს შემოაბიჯეთ, როდესაც გორში გამოავალ გაზეთ „გამარჯვებაში“ თქვენი პირველი ლექსები გამოქვეყნდა. მას შემდეგ თქვენი ნააზრები - ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, ჩანაწერები სისტემატურად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი მოწონებით შეხვდა თქვენს ისეთ პოეტურ კრებულებს, როგორიცაა „ახალწლის ღამე“, „სიყვარულის თილისმა“, „გამიგორე სიცოცხლე“, „ქრიზთას ანთოლითები“, „ქრიზთას ქრიზოლითები“, „ექო“... ამ კრებულებში დავანებული ლექსების ლირიკული გამორჩეულობა და სათნოების უკეთილმოხილეს იდეალებს ნაზიარები ბანოვანია, რომელსაც, რა თქმა უნდა, უჭირს ჯუნგლებადქცეულ სამყაროში გზის გაკვლევა, წონასწორობის დაცვა, იმის გასივრძელება, თუ რა უღვივოდ ითვლება ყველაფერი, რაც კი პატიოსნებასთან და კეთილშობილებასთანაა წინააღმდეგობაშია. წუთისოფლის სიმოკლე და გაუტანლობა აოცებს, მაგრამ მაინც ვიკრებოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება სასწაულიც მოხდეს და სიკეთემ გაიმარჯვოს. ლექსები ნაცარმარხილი დევლის მცხუნვარებით ათბობს და ასულდგმულებს... სახელწოდებით ბრონეული იმ შეყვარებულს აგონებს, ზღაპრულ ბაღში გადარეული რომ ელის გულისნორს... გული კი ჯადოსნურ დოლაბს მიუგავს, რომელიც ვერ აუღის სიყვარულის მნიშვნელობას, შენატრის პეპელას, რომელიც სამ დღეს კი ცოცხლობს, მაგრამ სრულად ახერხებს ბედნიერებით და ჰარმონიით ტკობას...

ავტორი ხართ მეტად საინტერესო მოთხრობების და ზღაპრებისა. საყურადღებოდ გვესახება თქვენი ჩანაწერები, რომლებშიც საკუთარ დაკვირვებებს აღწერთ ადამიანურ ურთიერთობებზე, იმ ინსტიტუტებსა და ვენებზე, კაცობრიობის პერპეტუუმ-მოხილეს რომ წარმოადგენს.


კარგა ხანს მუშაობდით კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტში ქიმიკოსად, ენოდით პედაგოგიურ მოღვაწეობას საშუალო სკოლაში და შეიძლება თამამად ითქვას, რომ მოზარდებთან ურთიერთობამ, მათი სულის უფაქიზეს ხვეულებში წვდომამ დიდად შეუწყობილი თქვენი თვალსაჩინოების გაფართოებას.

თქვენი საუკეთესო ნაწარმოებები ითარგმნა და გამოიცა სომხურ და ინგლისურ ენებზე.

მოხბულულნი ვართ თქვენი სიფაქიზით, სათნოებით, სიკეთით სავსე გულით.

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ერთგულ მეგობარს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით აღმავლობას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



მამუკა ვაშაკიძე - 60

60 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი და ჟურნალისტი მამუკა ავათიანილის ძე ვაშაკიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო მამუკა!

ჩვენო ძვირფასო ძმოს და მეგობარო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედს, მწერალსა და ჟურნალისტს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 60 წლისთავს.

გვიხარია, რომ საიუბილეო თარიღს მხნე, ვაჟაყვირის ნაბიჯებით მიუახლოვდით ისე, რომ არ შეგრცხვებათ უკან მოხედვისა, არც როგორც მომავალი, ჩანახატები, პუბლიცისტური ნერილები, მხატვრული ნარკვევები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი სამწერლო დებიუტი 1994 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ტყუილ-მართალში“ გამოაქვეყნეთ პირველი ნოველა „დონ-ჟუანი“. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები - მოთხრობები, ნოველები, ჩანახატები, პუბლიცისტური ნერილები, მხატვრული ნარკვევები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი მოთხრობებისა და ნოველების კრებულები „გაჩუქებული სედა“ მრავალმხრივია საინტერესო. სამარისა ამ წიგნის ავტორისეული წინასიტყვაობის ნაკითხვა, რომ მიხვდეთ, თუ რა საოცარი სიყვარულით, სითბოთი, სათნოებითაა სავსე ავტორის გული და რა უშურველად უწაინილეს ამ სიყვარულს თანამოძმეთ. ეს მოძირო კრებულში მართლაც რომ მიჩაიდა სევდით და ნაღველითაა სავსე. საოცარი-მწერლური ხელოვნებით აღწერთ მერე მსოფლიო ომის საშინელებებს, იმ ტრაგედებს, რომლებიც გუშინ თუ გუწინნინ დაატრიალეს XXI საუკუნის ვანდალებმა ჩვენს თვალწინ...

თქვენი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები ითარგმნილია რუსულ, უკრაინულ, ფრანგულ და თურქულ ენებზე.

ფართო საზოგადოებრიობა გიცნობთ, როგორც გამოცდილი, ჭეშმარიტ ჟურნალისტს, რომელმაც მისი ცხოვრების საუკეთესო წლები ქართული ჟურნალისტიკის წინსვლასა და განვითარებას შეაღია. მუშაობდით ისეთ გაზეთებში, როგორცაა „რესპუბლიკა“, „გაუხმარებელი ფაქტები“, „მასინ“... 1999 წლიდან კი „საქართველოს რესპუბლიკაში“ მსახურობთ, ხართ გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი და თქვენი დამსახურებაცაა, რომ ეს ბრწყინვალე გაზეთი ქართული ჟურნალისტიკის ფლაგმანს წარმოადგენს.

თქვენი მრავალწლიანი ღვაწლმწიველი არ დარჩენილა. დაჯილდოებული ხართ ღირსების მედლით. მონიჭებული გაქვთ რეზო ინანიშვილის, ნიკო ნიკოლაძისა და სერგი მესხის სახელობის პრემიები, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტისა და ქართული კულტურის მამადარის საპატიო წოდებები.

ჩვენო მამუკა!

ვინც კი გიცნობთ, ყველა აღფრთოვანებულია თქვენი კეთილშობილებით, სიკეთით და სისადავით.

კიდევ ერთხელ სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას მეგობარს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



მერაბ ბერიძე — 85

85 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე მერაბ ვლადიმერის ძე ბერიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო მერაბ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან სამშობლოს სამსახურში დამაპირალ შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 85 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

დიახ, ნახევარი საუკუნეა, რაც გრძელდება თქვენი საინტერესო და, რაც მთავარია, მკაცრი-სათვის აგრესიულად საჭირო საქმიანობა. თქვენი პირველი იუმორისტული ნოველები და ნაკვეთები ხომ 1971 წელს გამოქვეყნდა და მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები - ნოველები, მოთხრობები, პიესები, ლექსები, პუბლიცისტური სტატიები სისტემატურად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი პიესები, ისეთები, როგორცაა „მზე ნეკრისლის ტყეში“, „ორი ბილეთი შეგვიანებულ მგზავრებისათვის“, „ცვივა, საყულო აინიეთ“, „ცთუხება“, „ქალაქელი გვირგვინი და შავი მარგალიტი“, „უკანასკნელი ტყვია“ ქართული დრამატურგიის მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს. ისინი წარმატებით იდგმებოდა როგორც ქართული, ისე საზღვარგარეთის თეატრების სცენებზე, წარმატებით დაიდგმოთ კი ის იყო, რომ მათ გამოარჩევდით ცხოვრებისეული სიმართლე, კულტურის, უბლიცისტური სიმბავილე, სულსების სიმძაფრე და თემის აქტუალობა. ქართველი ბავშვების დიდი მეგობარი ხართ და თქვენი თოჯინურ სპექტაკლებიც („ძალა ერთობაშია“, „ხელმძღვრე ოსტატები“) ამის მშვენიერ დასტურს წარმოადგენს.

ჩინებული ლირიკოსი ბრძანდებით. თქვენს ლექსებზე არაერთი სიმღერა შექმნა, რომელთა შორის ობოლი მარგალიტით ბრწყინავს „პაპანაქება ზაფხულში“. ბოლო წლების მოვლენად იქცა ლექსი „აუვითით სანთელი მშობლებს“, რომელიც არაერთ ჟურნალსა თუ გაზეთში დაბეჭდა და არაერთ ენაზეც ითარგმნა.

თქვენი სცენარებით გადაღებულ სატელევიზიო ფილმებთან განსაკუთრებული წარმატება ხვდა ნილად მხატვრულ ფილმს „მე მოვედი“, „საჩუქარი“, „ცოდვაა დასავიწყებლად“...

ქართულ ჟურნალისტიკას თქვენი სახით ელვარე ვარსკვლავი ჰყავს, მართლაც რომ სასახლეა გზა განვლილი საქართველოს ტელევიზიაში, სადაც სატელევიზიო პროგრამა „ენერჯის“ სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი იყავით. როგორ დაგვაგონებდა, რა ენერჯული იმპროვიზით, რომ ძლიერთაოების ამა ქვეყნისათა დაგვანხვენიანთ ენერჯის ალტერნატიული წყაროების სასიცოცხლო მნიშვნელობა. საამაყოა, რომ სწორედ თქვენი ძალისხმევით საქართველოს მთიანეთში განლაგებულ 74 ეკოლესია-მონასტერში მზის სხივებს გარდაქმნიან ელექტროენერჯიად და ამ შუქზე ტარდება საეკოლოგიური რიტუალები.

გვაბარებს, რომ მონიჭებული გაქვთ საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტისა და 1990 წლის ყველაზე პოპულარული ჟურნალისტის წოდება, ჟურნალისტიკა ფედერაციის 4 პრიზი, ხართ ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატი. დაჯილდოებული ხართ იუნესკოს მედლით მეცნიერების პროპაგანდაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, საქართველოს ეროვნული აკადემიის პრიზით „მამულის ერთგულებისათვის“...

მეგობრებს ხიბლავთ საოცარი იუმორის გრძობით და უნდა ითქვას, რომ სწორედ ეს იუმორი გეხმარება ჩვენი უსიხარულო, უშიშმისი დღეების გადატანაში.

ბატონო მერაბ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენი სამწერლო ოჯახის ღირსეულ წევრს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და წარმატებებს გისურვებთ თქვენს საქმიანობაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ტენგიზ ჩხაიძე - 85

დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ტენგიზ ნოეს ძე ჩხაიძეს. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ტენგიზ!

ჩვენო გულმართლო და ნაცადო მეგობარო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან ღვაწლმოსილ შემოქმედსა და საზოგადო მოღვაწეს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 85 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

მართლაც რომ მრავალმხრივი, მრავალნაწიანი შემოქმედელი ხართ და ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთგულად და შთაგონებით ემსახურებით ქართული მწერლობის წინსვლასა და განვითარებას.

ან უკვე შორეულ 1972 წელს შედგა თქვენი ლიტერატურული დებიუტი, როდესაც უწინააღმდეგოდ „გამაქვეყნეთ პირველი ლიტერატურულ-კრიტიკული ნერილი „მართალი წიგნი“. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები - მოთხრობები, რომანები, ლიტერატურულ-კრიტიკული ნერილები, პუბლიცისტური სტატიები, მხატვრული თარგმანები ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი ლიტერატურულ-კრიტიკული ნერილები, რომლებმაც დაივიწყა ისეთ კრებულებში, როგორცაა „გმირს გამოცდის ცხოვრება“ და „ლიტერატურა - ცხოვრების მხარდაჭერა“ ეძღვნება ქართული მწერლობის ისეთ აღიარებულ მეტრებს, როგორებიცაა გრიგოლ რობაქიძე, ნოდარ დუმბაძე, არჩილ სულაკაური, რევაზ ინანიშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ და თამაზ ჭილაძეები, რეზო თვარაძე, აკაკი ბაქაძე, გურამ ბაგეშიძე, გურამ ასათიანი, ზაირა არსენიშვილი, ჯემალ ქარჩაძე, რევაზ მიშველაძე... ამ ნერილებში გამოიკვეთა თქვენი ფართო თვალსაჩინო, გემოვნება, ღრმა ანალიზის უნარი. ამის დასტურს წარმოადგენს თქვენივე ნერილები მსოფლიო ლიტერატურის კორიფეებზე (უილიამ ფოლკნერი, ერნსტ ჰემინგუეი, შტეფან ცვაიგი, ალბერ კამიუ, ერიკ-მარია რემარკი, ალექსანდრე სოლჟენიცინი).

თქვენი პუბლიცისტური სტატიების გაცნობისას კიდევ ერთხელ ვწმუნდებით, რომ მათი ავტორი მშობელი ქვეყნის ჭეშმარიტი ერისკაცია...

არაერთი პირველხარისხიანი თარგმანით გაამდიდრეთ მშობლიური სიტყვაკაზმული ლიტერატურა. მათ შორის გამოიჩინა თეოდორ დოსტოევსკის „ეთერი ღამეები“, „მარადი ქარი“ და „მკვდარი სახლის ჩანაწერები“, ჩინგიზ აითმათოვის „ჭრელი ძალი“, ზღვის პირს ადევნებული, ჟორჟ ამაღუს „მენამული ყლორტები“, აგრეთვე არმან ლანუს „მოპასანი“, ბორის გრიბანოვის „შემინუეი“ და „ფოლკნერი“...

ქართული პროზის საგულისხმო მოვლენად მიგვანია თქვენი რომანი „სტუდენტობის დროის ზღაპარი“ და მოთხრობები, რომლებიც თქვენი მწერლური ნიჭიერების დასტურს წარმოადგენს...

სადაც კი ვიმუშავიათ, ყველგან ჭეშმარიტი მოღვაწის დარად იხარჯებოდით, ყველგან ქართული სულიერების, ქართული წიგნის წინსვლას ემსახურებოდით. იყავით „საქნივის“ სამმართველოს განყოფილების გამგე, წიგნით ვაჭრობის რესპუბლიკური გაერთიანება „საქნივის“ მმართველის მოადგილე. გამომცემლობა „ნაკადლის“ მთავარი რედაქტორი და გამომცემლობასთან არსებული „სალიტერატურო გაზეთის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე...

თქვენი მრავალწლიანი ღვაწლმწიველი ნიკო ნიკოლაძის პრემიით აღინიშნა.

ბატონო ტენგიზ!

კიდევ ერთხელ დიდი სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ერთგულსა და უღალატო ძმას. დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ტქვენი საწუკარი ოცნებების განხორციელებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ნინო გვენცაძე

ჩემი სიმდიდრე კალამია და ლექსის პნკარი!

აღმოსავლიდან მონაქროლი სიო მაგრილებს და ველოდები მე ამინდის გამოდარებას, განა დავეძებ სადმე ქვიშას, სადმე ნაპირებს, ან უნიათო და ან მხდალი, განა დავდივარ! არ მიფიქრია არასოდეს მე სიმდიდრეზე, ჩემი სიმდიდრე კალამია და ლექსის პნკარი!.. ხელში ავიღე მე სიმალღე ო, უსაშველო და სათნოება პირველ რიგში ჩემს წინსვლად ვცანი. ჩავალ იყალთოს და ავუნთებ სანთლებს მე უფალს, მტერს მივუტევებ, თანაც უღირს ადამიანებს, იმას ვაკეთებ მუდამ მე, რაც თანაც ღმერთს უთქვამს, ვფიქრობ, ყოველთვის ლოცვა რომ არ დამიგვიანდეს. არ მიფიქრია არასოდეს მე სიმდიდრეზე, ჩემი სიმდიდრე კალამია და ლექსის პნკარი! ხელში ავიღე მე სიმალღე ო, უსაშველო და სათნოება პირველ რიგში ჩემს წინსვლად ვცანი.

ო, ჩვენ დიდი დრო, ო, დიდი დრო გვაშორებს წარსულს და ის დღეებიც ვნებანი გაქრა, ნავიდა, ვერ დავიბვრუნებთ დროს ო, ვერა, ვერა ო, მაცდურს და სიყვარულსაც ვერ დავინწყებთ ვერა თავიდან. ახლა ავანთოთ იყალთოში, გრემში სანთლები და ღმერთს შევთხოვოთ მოგონების ხსოვნა მალიმალ,

შევთხოვოთ ხსოვნა ნულარასდროს ნულარ გაქრება, რადგან ყველაფერს ვერ დავინწყებთ ახლა თავიდან.

გამთლიანება სამშობლოს ო, ერთადერთი ფიცია!
„სამშობლო ნეტარებაა“ - ბრძენს უთქვამს თურმე მანამდი, ბრძოლით, სინდისით, ნამუსით მიტომ მოვედით აქამდი. ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას ვერვინ წაგვართმევს, ვერავინ, ამის თავმდეები უშუალოდ ო, არის ტატოს „მერანი“. გამთლიანება სამშობლოს ო, ერთადერთი ფიცია!.. განა, უშუალოდ მტრის მხრიდან, თუნდაც დაზოგვა იციან! ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას ვერვინ წაგვართმევს ვერავინ, ამის თავმდეები უშუალოდ ო, არის ტატოს „მერანი“...

არ დაჰვიწყებ

სულს ტკივილებად აწვება ხუნდი, ბუხართან მჯდომი ქსოვ დარდის კაბას... მიყუყულია კუთხეში კნუტი და შავ გარეგან თვალებსა ნაბავს. გტკივა და მაინც როგორ ტაროსებს გაივლი შურით ვერდაძლეული... არ დაეცემი, მონის სამოსელს ვერ შეიფერებს შენი სხეული!

ლოცვა

მოგონებები ო, არასდროს არ იბინდება, ალბათ ყოველი ასეთი რამ ღმერთმა ინება, მიყვარდი ძლიერ, ახლაც სუნთქვა ჩამესმის შენი. მაღალ ღმერთს ვთხოვ, რომ შენი თავი მიმყოფოს კარგად. ტვირთი მესხნება მაშინ, თითქოს მსუბუქი ბამბა, მაღალო ცაო, აგვამალღე ჩვენც ო, შენსავით, რომ ვიყოთ მუდამ ანთებულები, მუდამ მზესავით. მოგონებები ო, არასდროს არ იბინდება, ალბათ ყოველი ასეთი რამ ღმერთმა ინება,



ირმა გურციელი - 80

80 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი და მსახიობი, პირველი თაობის ტელედიქტორი ირმა იაკობის ასული გურციელი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისაღობა გაუგზავნა. მისაღობაში ნათქვამია:

ქალბატონო ირმა!
ჩვენო ძვირფასო კოლეგა!
საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმუხურად მოგესალმებიან ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის ერთ-ერთ უმშვენიერს ნარმოად-გენელს, მრავალმხრივი, მრავალნაზნაგოვანი ნიჭიერებით გამორჩეულ ბანოვანს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 80 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს.
ხუთი ათეული წელია, რაც გრძელდება თქვენი მეტად მნიშვნელოვანი და საგულისხმო შემოქმედებითი საქმიანობა. გულით გვახარებს, რომ თქვენი სახით გვყავს უნაზესი ლირიკოსი, რომლის ორიგინალური, თავისთავადი პოეზია ატკობს ქართული მკითხველის სმენას და ხშირად საღბუნად ედება ცოდვით დამძიმებულ ჩვენს სულს.
1971 წელს გაზეთ „ალანის განთიადში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი „სიყვარულის სავანე“ და მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები - ლექსები, კინოსცენარები, ლიბრეტოები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.
თქვენი პოეტური კრებულები, ისეთები, როგორცაა „ჩუმი ცეცხლი“, „ნეტავი ჩანვდე გულისტქმას“ და „საქართველო, სიმღერა ჩემო“ ყველა გემოვნებიანი მკითხველის წიგნის თაროს ამშვენებს. ამ კრებულებში შესულ ლექსებს ხომ საოცარი სიფაქიზე და მელოდიურობა, ვერსიფიკაციული ძიებები და მიგნებები გამოარჩევს. მათი ლირიკული გმირი უდაბნოში დაეხეტება გაძევებული, დასჯილი ბავშვივით, უბით დაატარებს სამოთხის - სამშობლოს მიწის სურნელს, წონასწორობადაკარგული შესცქერის ჯვარზე გაკრულ საკუთარ ნალოლიავებ ოცნებებს და ლამობს უმშვენიერეს წითელ ყაყაჩობად დაებნოს დიდგორსა თუ კრწანისს და მტლედ დაედოს მათ ტკივილებსა და იარებს... თუ რამ აჩერებს ამ ცოდვით დაცემულ დედამიწაზე, ის აჩერებს, რომ მის სულში წმინდა ნინოს ვაზის ჯვარს გაუდგამს ფესვი, რომ შეუძლია აპრილის თვეში თეთრად აგიზგიზებული გელათის ხილვა. მსგავსი ხილვებითა თუ ზმანებებითაა გაჯერებული თქვენი პოეზია, რაც განსაკუთრებულ ხიბლს ანიჭებს მას.
თქვენს მშვენიერ ლექსებზე 70-ზე მეტი სიმღერა შეიქმნა. სწორედ თქვენი ლექსი „რა ეჭიანი ყოფილხარ“ გედის უკანასკნელი სიმღერა აღმოჩნდა დიდი რეზო ლალიძისთვის. ამ და სხვა სახელოვანი კომპოზიტორების მელოდიები თქვენი ლექსების გამოც შეიყვარა მსმენელმა. ესენია: „საქართველო“, „ალავერდი“, „ჭალარა“, „ხარ სიყვარულის

საგალობელი“, „ისევ ქარი წაიღებს“, „ნეტავი ჩანვდე გულისტქმას“, „უთქმელი სევდა“, „დრო არ იცდის, არა“, „საგალობელი მაცხოვრისადმი“, „საგალობელი ღვთისმშობლისადმი“, „უფლის სადიდებელი“, რომლებსაც ქართული ესტრადის პირველხარისხოვანი მომღერლები ასრულებენ.
ცალკე უნდა აღინიშნოს თქვენი პოეტური ტრილოგია „ქართველნო, ერთად ღვთისაკენ“, რომელიც ქართველთა სულიერ მწყემსს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს მიუძღვნით და თავადვე კითხულობთ უწმინდესის საფორტეპიანო ნაწარმოების („ფიქრები წარსულსა და მომავალზე“) თანხლებით.
ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრში საქართველოში პირველად დაიდგა თქვენს მიერ თარგმნილი ბერთოდ ბრეხტის „სამგროშიანი ოპერის“ სრული ვერსია. დრამატული თეატრისთვის შექმნილი კარლო გოლდონის პიესის „ორი ბატონის მსახური“ ლიბრეტო და ეს პიესა მუსიკალურ კომედიადაც აქციეთ. ასევე ლიბრეტოს ავტორი ხართ პირველი ქართული როკ-ოპერისა „თავფარავნის ბაღადა“ ბათუმში რომ დაიდგა.
თქვენი საუკეთესო ლექსები შესულია ისეთ მნიშვნელოვან გამოცემებში, როგორცაა „პატრიოტული პოეზიის ანთოლოგია“, „ქართული პოეზიის ანთოლოგია“ (2 ტომად), „უახლესი ქართული პოეზიის ანთოლოგია“, „ორმაგი ავტოგრაფი“...
ფართო საზოგადოებრიობა გიცნობთ, როგორც ჩინებულ ტელედიქტორსა და მსახიობს. დიხ, ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს თქვენს მიერ შექმნილი არაერთი საგულსხმო სახე თეატრისა თუ ტელეეკრანზე. საამისოდ თუნდაც თემურ ჩხეიძის მიერ დადგმული ტელესპექტაკლი უნდა გავიხსენოთ, ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩას“ მიხედვით რომ შეიქმნა. ამ სპექტაკლში ხომ რეჟეკას როლის ბრწყინვალე შემსრულებლად მოგვევლინეთ. ანდა სულ ახლახან როგორ გაიბრწყინეთ ტელესერიალ „თესაუმი“, როდესაც ახალი ფერადები შემატეთ თქვენს სამსახიობო ხელოვნებას ესმა ბებიას ჩინებული სახის შექმნით. არც ის გვაწინებდა, რომ ახალგაზრდულ წლებში საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრ „რეროს“ სოლისტი იყავით.
თქვენი ცხოვრების საუკეთესო წლები საქართველოს ტელევიზიაში გაატარეთ. ჯერ დიქტორად მუშაობდით, შემდეგ კი - სატელევიზიო თეატრის მთავარი რედაქტორის მოადგილედ და მსახიობად. სწორედ თქვენი ინიციატივით დაიწყო უცხოური მხატვრული ფილმების ქართულ ენაზე გახმოვანება. ტელეფილმების სტუდიაში შეიქმნა მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „უკან პრჩეს კვალი განათლებული“, რომლის სცენარისტიც და რეჟისორიც თავად იყავით. თქვენვე გეკუთვნით ვიდეო და აუდიოფილმი „განდობა“, საავტორო პუბლიცისტური ფილმი „სიყვარულმა მათქმევინა“ და ვიდეოფილმი „გვახსოვდეს“, რომელიც აფხაზი და ქართველი ახალგაზრდების დღევანდელ ურთიერთობას ეხება.
თქვენი მრავალწლიანი ღვაწი და რუდუნება ღირსეულად დაფასდა. დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით, შრომის ვეტერანის მედლით, მონიჭებული გაქვთ საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა და ქართული კულტურის ამაგდარის საპატიო წოდება, ილია ჭავჭავაძის, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის, თეატრის მოღვაწეთა კავშირის პრემიები. საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის ფოიეში განთავსებულია თქვენი ფოტო და ვარსკვლავური სიმბოლო. უახლოეს დღეებში მთაწმინდის პარკში სატელევიზიო ანძასთან გაიხსნება თქვენი სახელობითი ვარსკვლავი.
ძვირფასო ირმა!

საქართველოს მწერალთა კავშირი

კონკურსი

საქართველოს მწერალთა კავშირი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით აცხადებს კონკურსს „ღირსსახოვარი“ საინტერესო ფოტო-ისტორიებზე.

მუშაობა ლეზანდოვს ნერდა: „მე სხვა ვარ, პოეტების ხვედრია, გვახსოვდეს ცოცხალიც და მკვდარიც“. სწორედ ხელოვანის ხვედრს - მახსოვრობას და წარსულსადაც, ცნობილი ადამიანებისადმი პატივისცემას ეძღვნება ეს კონკურსი. ამ ერთი კონკურსით რამდენიმე საქმის განხორციელებას ვფიქრობთ.

- 1. საინტერესო ფოტოებისა და ისტორიების შეკრებას და მომავალი თაობისათვის, როგორც ძვირფასი საგანძურის გადაცემას;
- 2. საინტერესო ისტორიის ავტორი მწერლების ფულადი პრემიებით ნახალისებას;
- 3. ფოტო-ფონდის შექმნას;
- 4. ფოტო-ალბომის გამოცემას საინტერესო ისტორიებით;
- 5. წიგნის პრეზენტაციას და ფოტო-გამოფენას.

კონკურსის მონაწილეებმა მწერალთა კავშირის ელექტრონულ მისამართზე უნდა გამოავაზონ მოკლე ავტობიოგრაფია და არაუმეტეს 3 საკონკურსო ფოტო და ფოტო-ისტორია, სადაც აღბეჭდილი იქნება ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი ისტორიული პიროვნება და მასთან დაკავშირებული საინტერესო ამბავი.

მასალების მიღება დაიწყება 1 ოქტომბრიდან, კონკურსის ბოლო ვადაა 15 ნოემბერი. 3 გამარჯვებული (ფულადი პრემია 500 ლარი) დაჯილდოვდება 7 იანვარს, შობის დღეს. გამოიცემა ფოტო-ალბომი, რომელშიც შევა კონკურსზე წარმოდგენილი ყველა საინტერესო ფოტო-ისტორია.

ელ.მისამართი: writersunionofgeorgia@gmail.com
საკონტაქტო პირი: 555-56-44-54 მათა კვანტალიანი

კონკურსი

ჯემალ აჯიაშვილის სახელობის პრემია საქართველოს მწერალთა კავშირი ქ. თბილისის მერიის მხარდაჭერით აცხადებს კონკურსს ჯემალ აჯიაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად 5 ნომინაციაში 2020-21 წელს შექმნილი ნაწარმოებებისათვის.

- 1. საუკეთესო პოეტური თარგმანი (1 000 ლარი);
 - 2. საუკეთესო პროზაული თარგმანი (1 000 ლარი);
 - 3. საუკეთესო პოეტური ნაწარმოები (1 000 ლარი);
 - 4. საუკეთესო პროზაული ნაწარმოები (1 000 ლარი);
 - 5. წლის რჩეული ოუბლიარი მწერალი (მრავალწლიანი მოღვაწეობისათვის, 1 000 ლარი).
- მასალების მიღება 27 ოქტომბრიდან 20 ნოემბრამდე ელექტრონულ მისამართზე writersunionofgeorgia@gmail.com ან ლორთქიფანიძის 4, მე-4 საართული.
- საკონტაქტო პირი მანანა გორგიშვილი ტელ. - 599 38 12 74



აკაკი ბრეგაძე

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მიიმე დაწაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე აკაკი ნიკოლოზის ძე ბრეგაძე.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა ძველქართული პატიოსნებით მირონცხებული მშვენიერი შემოქმედი, რომელიც თავისი საკმაოდ ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში ერთგულად, მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა მშობელ ქვეყანასა და ხალხს, მშობლიურ მწერლობას...

აკაკი ბრეგაძე დაიბადა 1935 წლის 1 ივნისს ქუთაისში. 1954 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ქუთაისის ვაჟთა მე-8 საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტად, რომელიც 1959 წელს დაასრულა.

1960 წლიდან აკაკი ბრეგაძე ათწლეულების განმავლობაში მუშაობდა გამომცემლობა „ნაკადულის“ რედაქციის გამგედ და ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რათა „ნაკადულში“ გამოცემულ წიგნებს გაეფართოებინათ ქართველი ბავშვების თვალსაწიერი და ისინი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეებად აღზრდილიყვნენ. მან, როგორც რედაქტორმა, ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო გამომცემლობის მიერ გამოცემულ ისეთ მნიშვნელოვან კორპუსებს, როგორიცაა ქართული პოეზიის ჩვიდმეტ-ტომეული და ქართული მწერლობის ოცდაათტომეული.

აკაკი ბრეგაძის სამწერლო დებიუტი 1955 წელს შედგა, როდესაც გამოქვეყნდა მისი პირველი თარგმანები და მას შემდეგ ეს ჩინებული შემოქმედი თავდავიწყებამდე მისული გატაცებით ამდიდრებდა მშობლიურ ლიტერატურას პირველხარისხოვანი თარგმანებით.

რა მშვენიერად თარგმნა მსოფლიო მწერლობის ისეთი აღიარებული კლასიკოსების ნაწარმოებები, როგორიც იყვნენ ალექსანდრე დიუმა, ჟორჟი ამადუ, კობო აბე, მეშა სელიმოვიჩი, სელმა ლაგერლიოფი, ელიზა ოჟეშკო, ავგუსტ სტრინდბერგი, ქენძაბურო ოე...

თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აკაკი ბრეგაძემ განსაკუთრებული ღვაწლი დასდო რუსული კლასიკური მწერლობის ქართულად ამეტყველებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი ლორთქიფანიძე

და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს

ალექსანდრე პუშკინის პროზა, ლევ ტოლსტოის „განა რამდენი მინა სჭირდება ადამიანს“, ივან ბუნინის „ლიკა“, თეოდორ დოსტოევსკის „თეთრი ღამეები“, ალექსეი ტოლსტოის ტრილოგია „გზანი წამებისანი“, „ემიგრანტები“, „ნევზოროვის თავგადასავალი ანუ იბიკუსი“, ლეონიდ ანდრეევის „ბენტოვიტი“, ბორის პასტერნაკის „დოქტორი ჟივაგო“, ჩინგიზ აითმათოვის „საქონდაქრე“ - აი, იმ რუს მწერალთა და ნაწარმოებთა არასრული სია, რომლებიც ქართული ლიტერატურის ნაწილად აქცია აკაკი ბრეგაძემ და ამით სამართლიანად დაიმკვიდრა მეტად საპატიო ადგილი ქართველ მთარგმნელთა კოპორტაში.

რა დაგვაინწყებს ამ დიდებული მოღვაწის მართლაც რომ მამულიშვილურ საქმიანობას ბოლო წლებში, იმ დროს, როდესაც ქვეყანაში სრული ნიჰილიზმი და განუკითხაობა მეფობდა, როდესაც მავანნი ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძვლების შერყევას ცდილობდნენ. სწორედ მაშინ გამოჩნდა საკუთარ თავში ძალა, სულიერი სიმბნევე, ენერჯია და ქართველი ხალხისთვის დარად მოზარდი თაობის სულიერ ფორმირებაზე დაიწყო ზრუნვა. მის მიერ გამოცემული გაზეთი „ციცინათელა“ მართლაც რომ ენციკლოპედიურ განათლებას სთავაზობდა ქართველ ბავშვებს და უნერგავდა სამშობლოს სიყვარულსა და მისთვის თავდადების გრძობას. მერე ეს გაზეთი ბუნებრივად გარდაიქმნა ისეთ გამომცემლობად, უაღრესად საჭირო და მნიშვნელოვანი ტომეულებით რომ იწონებდა თავს. მათ შორის გამოირჩეოდა სერიალი „საკითხავნი ყმანვილათათვის“ (30 ტომი), სერიალი „მნიგნობრობა ქართული“ (20 ტომი), „ლიტერატურული საუბრები ახალგაზრდობისათვის“ (15 ტომი). „ციცინათელას“ ბიბლიოთეკით გამოსცა „საქართველოს განმანათლებლები“, „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“, „ქართული ფული“, „დედა-ენის თვგადასავალი“, „ვეფხისტყაოსნის“ თავგადასავალი“, „ქართული ფუტკარი“, „ქართული ვაზი და ღვინო“...

ცალკე უნდა აღინიშნოს აკაკი ბრეგაძის შედგენილი და გამოცემული პატრიოტული პოეზიის ანთოლოგია „შენ ხარ ვენახი“, რომელმაც ფართო რეზონანსი გამოიწვია.

ამ დიდ და საშვილიშვილო საქმიანობაში აკაკი ბრეგაძეს დამხმარე და მშველბელი თითქმის არ ჰყოლია და ამის მიუხედავად იგი მაინც ვიუტად და შეუპოვრად იღვროდა, რადგანაც იცოდა, რომ ზურგს უკან საესავი სამშობლო ედგა. სწორედ ასეთი შეუპოვრობისათვის, უანგარობისთვის, უშურველობისთვის შეიყვარეს იგი კოლეგებმა და მკითხველებმა.

მისი დიდი ღვაწი და რუდუნება ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლისა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიებით აღინიშნა.

წავიდა ჩვენგან სამშობლოს უებრო სამსახურში სრულად დახარგული შემოქმედი, მოღვაწე, ერისკაცი...

წავიდა და დასტოვა კვალი ნათელი.

საქართველოს მწერალთა კავშირი

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დიმიტრი ლოჯანიძე

და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს



ნანული (ნანა) გვინია

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ნანული მიხეილის ასული გვინია.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა მშვენიერი ბანოვანი, რომელიც ერთნაირი ძალმოსილებით ემსახურებოდა, როგორც ქართულ მწერლობას, ისე მეცნიერებასაც და თავისი წვლილი შეჰქონდა მათ განვითარებასა და წინსვლაში.

ნანული გვინია დაიბადა 1948 წლის 21 მარტს, აბაშის რაიონის სოფელ ზანათში. 1966 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ზანათის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში. რომელიც წარმატებით დაასრულა 1971 წელს.

უმადლეხი განათლების მიღების შემდეგ ნანული გვინია ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში, როგორც პროფესორი და პედაგოგიკის მეცნიერების აკადემიური დოქტორი. იგი იყო 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 12 წიგნის ავტორი. არჩეული იყო სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთის“ პრეზიდენტის წევრად, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“, საქართველოს ბიზნისის, მეცნიერებათა და „ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიების აკადემიკოსად, აბაშის საპატიო მოქალაქედ.

ნანული გვინიას ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობა 1956 წელს დაიწყო, როდესაც აბაშის რაიონულმა გაზეთმა „საბჭოთა სოფელმა“ მისი პირველი ლექსი „გიმელროთ, ახლო წელი“ გამოაქვეყნა. მას შემდეგ ნანული გვინიას ნაწარმოებები პერიოდულად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო თუ სამეცნიერო პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

სინაზე, სინატიფე, ძიების დაუოკებელი სურვილი გამოარჩევს ნანული გვინიას პოეზიას, რომელმაც დაიწვინა ისეთ პოეტურ კრებულებში, როგორებიცაა „ამალღებულნი ერისთვის“, „საქართველოს მზეს ფიცხლოვით ქართულნი“, „ჩვენ კვლავაც ერთად დავდგებით“, „იქაც დაგადგეთ ნათელი“, „ღმერთო, ისმინე ჩემი ვედრება“, „სულის ამოძახილი“, „გზა მარადისობის“, „დედის გარეშე განვლილი დღეები“, „უფალი, დედა და სამშობლო“, „მინდა მუდამ შენ გიმღერო, დედა“. მკითხველს სწორედ ამის გამო მოსწონდა პოეტის შემოქმედება, იმიტომაც, რომ მისი ლექსების თითოეული სტრიქონი დიდი ილია მართლის სამების მადლით იყო ვაცისკრუნებული.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ნანული გვინიას პოეზიის ის ციკლები, რომლებიც მან დედის ნათელ ხსოვნას მიუძღვნა და დიდებული მაგალითი მისცა თანამომემთ იმისა, თუ როგორ უნდა იცავდნენ ადამიანები უფლის მიერ ბოძებულ მცნებებს.

ნანული გვინია მისი მეგობრებისთვის ჭეშმარიტი ქრისტიანის განსახიერება იყო და ამიტომაც არ გაგვეკვირვებია, როდესაც მის მშობლიურ სოფელ მაცხოვრისკარში მაცხოვრის შობის სახელობის ეკლესიის მშენებლობას ჩაუდგა სათავეები და 17 წლის განმავლობაში ერთხელაც არ ჩაუშუხავს, სანამ ეკლესიის ზარებმა სრულიად საქართველოს არ ამცნო ახალი ეკლესიის დაბადება. სოფელსაც ხომ მისი დიდი ძალისხმევით შედგებდა დაუბრუნდა ისტორიული სახელი, რასაც ამ მშვენიერმა შემოქმედმა წიგნიც კი უძღვნა.

ნანული გვინიას მინიჭებული ჰქონდა მარიკა ბარათაშვილის სახელობის პრემია, იყო მშვიდობის ვარსკვლავისა და დროშის კავალერი, აირჩიეს აბაშის საპატიო მოქალაქედ. ქართველ მწერლებს ძალიან დიდხანს ემახსოვრებათ ნანული გვინია - ჩინებული მწერალი, მეცნიერი, მოღვაწე, რომელიც სრულად იზარჯებოდა მშობელი ქვეყნის სამსახურში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ქართული მწერლის გზა

№5

ფასი 1 ლარი

1-30 ნომერები 2021

მისამართი: ბაჩალიძის ქუჩა, №13 პოლია საბურთალო, თბილ. - 293-55-75

გაზეთი გამოდის 2001 წლის 8 ნომბრიდან

მთავარი რედაქტორი

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე

პასუხისმგებელი მდივანი

სოსო სიგუა

რევაზ მიშვილაძე

მანანა გორგიშვილი

რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ.

რეგისტრაციის № 5ა-4-3098

e-mail: mgorgishvili@mail.ru; sososigua@yahoo.com

9 771987 698009